სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრა ზეგ გაიმართება A3

ტერორისტი წმინდანები A3

ჩემს ქვეყანაში პოლიტიკოსთა მასკარადია A4

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 12 აგვისტო, 2002 წელი. №71

ფასი 50 თეთრი

ჯორბენაძემ ძალოვნებს და არასამთავრობოებს "დაპირისპირება" მოუწყო

თამარ ხორბლაძე

სახელმწიფო კანცელარიაში არასამთავრობოების ასე გახშირებული სტუმრობები თანამედროვე საქართველოს ისტორიას ნამდვილად არ ახსოვს.

ხუთშაბათს, "თავისუფლების ინსტიტუტთან" შეხვედრის შემდეგ, სახელმწიფო მინისტრმა არასამთავრობოთა ნუსხა გააფართოვა და კვირას, დილის თერთმეტ საათზე, არასამთავრობოთა "სახელიან წარმომადგენლებს" შინაგან საქმეთა მინისტრი და გენერალური პროკურორი პირისპირ შეახვედრა.

დავით უსუფაშვილი, გიგა ბოკერია, დათო ზურაბაშვილი, გივი თარგამაძე, სოზარ სუბელიანი, გია წაქაძე, ნანა კაკაბაძე, გია ნიკოლაიშვილი, გიორგი მარგველაშვილი გუშინ ქართველ ძალოვანებს პოლიციის და პროკურატურის გამჭვირვალეობის აუცილებლობაზე ესაუბრნენ.

წამების, ადამიანის ღირსების შელახვის ფაქტები, 72-საათიანი დაკავების ვადების დარღვევა, მოქალაქეთა უკანონოდ დაკავება და ჩხრეკა, იარაღის გამოყენება, როცა ამის აუცილებლობა არ არსებობს, ფიზიკური ძალის ზედმეტად ხშირად გამოყენება, ახალგაზრდების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, უსახლკაროების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, მოქალაქეთა შესახებ ინფორმაციის უკანონოდ შეგროვება, პოლიციელების მიერ ჩადენილი დანაშაულების იგნორირება და დაუსჯელობა - აი, მცირედი ნუსხა იმ პრეტენზიებისა, რომელიც საქართველოს პოლიციას "არასამთავრობოებმა" წაუყენეს და შესაბამისი ფაქტები და დეტალებიც წარუდგინეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

"არასამთავრობოებმა" პოლიციის შეფს არაერთი პრეტენზია წაუყენეს

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ორმაგი ლიდერობის ხაფანგი

ია ანთაძე,

რადიო "თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისთვის"

საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, ედუარდ შევარდნაძე იყო ის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც ერთდროულად ფლობდა უმაღლეს სახელისუფლო და პარტიულ პოსტებს: იგი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, ქვეყნის პრეზიდენტი და, იმავდროულად, იყო არჩევნებში ორგზის გამარჯვებული პარტიის თავმჯდომარე. გასულ წელს ედუარდ შევარდნაძე პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგა.

მოქალაქეთა კავშირის ლიდერები იყვნენ და, პარალელურად, მაღალი სახელისუფლო პოსტები ეკავათ ზურაბ ჟვანიას, მიხეილ მაჭავარიანსა და მიხეილ სააკაშვილს. მათ, პრეზიდენტისგან განსხვავებით, სათითაოდ დატოვეს სახელისუფლო პოსტები და ახალი პარტიები დააფუძნეს.

გასული წლის ნოემბრიდან მიმდინარე წლის ივნისამდე, ქართულ პოლიტიკურ და სახელისუფლო სივრცეში ერთადერთ ორმაგ ლიდერად რჩებოდა ასლან აბაშიძე: იგი აჭარის ავტონომიას ხელმძღვანელობს და, იმავდროულად, დემოკრატიული აღორძინების კავშირის თავმჯდომარეა.

მოქალაქეთა კავშირის ბოლო ყრილობის შემდეგ კი, ორმაგი ლიდერობის ტვირთის ზიდვა მოუხდება ავთანდილ ჯორბენაძესაც: იგი სახელმწიფო მინისტრი და მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეც არის.

რას ნიშნავს ერთდროულად პარტიული და სახელისუფლო ლიდერობა? რატომ ვერ გაუძლეს ორმაგი ლიდერობის წნეხს ძლიერმა პოლიტიკურმა ფიგურებმა? რა მოელის მას, ვინც ამჟამად მოქცეულია (ან მომავალში მოექცევა) ორმაგი ლიდერობის წნეხში?

გაგრძელება A4 გვერდზე

საქართველო საჰაერო თავდაცვის გაძლიერებას უკრაინის საშუალებით ცდილობს

კობა ლიკლიკაძე,

"რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისთვის"

რუსეთის სამხედრო ავიაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ყოველი ახალი დაბომბვის ფაქტი, საქართველოს ხელისუფლებას მწვავედ შეახსენებს, რომ ქვეყანას ეფექტური საჰაერო თავდაცვითი სისტემები არ გააჩნია და ამ მიმართულებით რაღაცის გაკეთებაა საჭირო. ზუსტად ასე მოხდა ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დასაწყისში. საქართველოს საჰაერო საზღვრის მორიგი დარღვევის შემდეგ, გაფართოებული შემადგენლობით შეკრებილმა სამხედრო საბჭომ სასწრაფოდ განიხილა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის 7 მაისის განკარგულება, რომელიც საქართველოს საჰაერო თავადაცვის განვითარებისთვის აუცილებელ პირველი რიგის ღონისძიებათა ჩამონათვალს შეიცავს. სტრატეგიულ და საიმედო პარტნიორად კი, ვინც საქართველოს საჰაერო თავდაცვის სისტემების აღდგენაში დაეხმარება, ქართველი სამხედროების აზრით, მიჩნეულია უკრაინა, რომლის საჰაერო თავადცვითი ძალები, როგორც ბოლო მოვლენებმა ცხადყვეს, თავადვე საჭიროებენ სრულყოფას.

საქართველოს შეიარაღებულ ძალები დღეს მთლიანად იმ საჰაერო თავდაცვის სისტემებს იყენებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის დროიდან იყო განათავსებული. დროთა განმავლობაში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ან რუსმა სამხედროებმა გაიტანეს, ან მოძველდა, ან პრინციპით -

გაგრძელება A2 გვერდზე

ვის სჭირდება დაავადებული ჯარისკაცები?

თეა გილიგაშვილი

საქართველოს შეიარაღებულ ძალების 20 ათასი სამხედრო მოსამსახურიდან 12 000 ჯარისკაცია. ფინანსების სიმწირე ოფიცერსაც და რიგითსაც თანაბრად აყენებს ცუდ მდგომარეობაში. ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას კი ნორმალური სამედიცინო მომსახურების არარსებობა ქმნის.

გია ჟორჟიკაშვილი, სამედიცინო სამსახურის უფროსის მოადგილე: **„გასული შვიდი თვის მაძინილზე, სამედიცინო მომსახურებაზე ბიუჯეტით უნდა მიგვეღო 228 ათასი ლარი, მივიღეთ მხოლოდ 22 ათასი ლარი, ანუ მოთხოვნილის მხოლოდ 9 პროცენტი. რომ გავანაწილოთ, საერთო ჯამში, ამ შვიდი თვის მანძილზე ერთ ადამიანზე ერთი ლარიც კი არ გამოდის.“**

ჯარისკაცებს საკუთარი მკურნალობის ხარჯების გაღება არ შეუძლიათ, მათზე ვერც ექიმები ზრუნავენ. მთავარ სამხედრო ჰოსპიტალში იხსენებენ, რომ საბჭოთა არმიაში თითო ჯარისკაცზე დღეში 13 კაპიკი გამოიყოფოდა დაავადების პროფილაქტიკისა და 18 კაპიკი მკურნალობისათვის, ანუ წელიწადში - 113 მანეთი. დღეს სამედიცინო სამსახური ერთ ჯარისკაცზე 17 ლარის გამოყოფას

გაგრძელება A2 გვერდზე

სამთვიანი პატიმრობა გარანტირებულია

თამარ კაკიტაძე

გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოში სირბილით მიყვანილ დავით გაზაშვილს მოსამართლე მამუკა ნოზაძემ სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. როგორც ცნობილია, გაზაშვილს ვაკე-საბურთალოსვე პროკურატურამ იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებისათვის წარუდგინა ბრალი, თუმცა, მისი დაკავება იმდენად გახლდათ მნიშვნელოვანი, რამდენადაც გაზაშვილი რუსი პოლკოვნიკის, იგორ ზაიცევის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

იგორ ზაიცევი 27 ივლისს დაიკარგა და მას შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველა გვამი მისი ეგონათ, ვიდრე 7 აგვისტოს, ღამით, ანონიმური ზარის საფუძველზე, ჯიქიას ქუჩაზე გასულმა სამართალდამცველებმა მართლაც არ მიაგნეს გვამს, რომელშიც საბოლოოდ იგორ ზაიცევი ამოიცნეს.

ოპერატიული მიგნება – მკვლელობაში ეჭვმიტანილის მეორე დღესვე დაკავება - მკვლელობის გახსნილად გამოცხადების საფუძველი არ გამხდარა.

გაგრძელება A2 გვერდზე

რუსებისთვის ხურდის დაბრუნებამ შედეგი გამოიღო

თბილისი-მოსკოვის მიმართულებით "აირზენას" "ბოინგი" კვლავ ჩვეული გრაფიკით დაფრინავს

მაია ურუშაძე

მას შემდეგ, რაც ქართველმა ავიატორებმა რუს სამხედროებს მათივე მეთოდები დაუპირისპირეს, სტავროპოლის მხარეში სამხედრო სწავლებებიც ფორსირებული სისწრაფით დასრულდა და რუსეთის თავზე შეკრული სეტყვის ღრუბლებიც უმალ გაიფანტა. შედეგად, ქართულ თვითმფრინავებს მოსკოვის მიმართულებით ფრენაში აღარც სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების მუშაობა უშლის ხელს და აღარც სამხედროთა მიერ "შემთხვევით" გაშვებული რაკეტით ჩამოგდების საშიშროება. გუშინდელი დღიდან "აირზენა" მუშაობის ჩვეულ გრაფიკს დაუბრუნდა.

შეგახსენებთ, რომ ამ რამდენიმე დღის წინ რუსეთმა "აირზენას" საგანგებო შეზღუდვები დაუწესა და მისი მხრიდან ვნუკოვოს მიმართულებით გაგზავნილი არც ერთი ფლაიტ-გეგმა არ დაუშვა. საბაბი –

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

თბილისი	30
ქუთაისი	29
ბათუმი	28
სოხუმი	28
ფოთი	28
თელავი	28
ზუგდიდი	29
გორი	27

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1805
ევრო	2.1154
გირვანქა სტერლინგი	3.3376
რუბლი	0.0680

„ავტოგარბენით დავცხოთ უგზოობას და ზოზინს„

B1

გადარბენის სტარტი

იური ლოგოდინის ფოტო

ხელისუფლებას "იტერას" "შეშინება" სურს

"იტერა"-საქართველოს ერთობლივ საწარმოში საკონტროლო პაკეტის მფლობელი "იტერა-ინტერნეიშენალი" იქნება

მაია ურუშაძე

ის, რომ "იტერა-ინტერნეშენალის" პირდაპირი ჩახუტება საქართველოსთან გარდაუვალია, ხელისუფლების მხრიდან უფრო და უფრო იმპერატიულად ჟღერს. მთავრობაში უკვე "იტერა"-საქართველოს ერთობლივი საწარმოს მოდელზე მსჯელობენ. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილე აკაკი ზოიძე აცხადებს, თუ საუბარი "შედგა", "იტერა-ინტერნეიშენალი" საწარმოს საკონტროლო პაკეტს მიიღებს.

"მთავარია, საქართველოს სტრატეგიული ინტერესი გათვალისწინებული იყოს, - აცხადებს ზოიძე, **- სახელმწიფო კონტროლი შენარჩუნებული იქნება, რადგან, ხელშეკრულების მიხედვით, ჩვენ გაზის ალტერნატიული წყაროდან მიღების უფლება უნდა გვქონდეს და სახელმწიფო მფლობელობაში მაგისტრალური გაზსადენიც უნდა დარჩეს."**

ერთობლივი საწარმოს საწესდებო კაპიტალში ქართული მხარე "თბილგაზს", "მარნეულიგაზს", "ყაზბეგიგაზს", "დუშეთგაზს" და სხვა მცირე საწარმოებს დებს. ქართული ქონების ღირებულება, საერთო ჯამში, 16 მილიონ დოლარს აღწევს. ამდენივე უნდა ჩადოს საწარმოში "იტერამ", თუმცა, როგორც საქართველოში "იტერას" წარმომადგენელმა თამაზ პატარიძემ განაცხადა, არ არის გამორიცხული, რომ "იტერას" აქტივებში საქართველოს ხელისუფლების მიერ დაგროვილი

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A2 სამართალი A3 ეკონომიკა A3 უცხოეთი A4 თვალსაზრისი

B2 რეკლამა B3 ბრეს-ომბუდსმენი B4 სპორტი

თბილისი. ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი მფრინავი ზაურ ბედია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში, სახალხო დიპლომატიის გააქტიურებას ემხრობა და ამ მიმართულებით უკვე სათანადო ღონისძიებებს ატარებს.

აფხაზ და ქართველ ხალხთა შორის ურთიერთნდობის აღდგენის გარეშე პრობლემა ვერ გადაიჭრება, - განუცხადა პრაიმ-ნიუსს ზაურ ბედიამ, რომელიც ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია "სახალხო დიპლომატიის ქართულ-აფხაზური ფონდის" თავმჯდომარეა.

მისი განცხადებით, მოცემულმა ინიციატივამ აქტიური მხარდაჭერა ჰპოვა არა მხოლოდ საქართველოს მთავრობაში, არამედ სოხუმშიც. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. ბასილ მკალავიშვილის მომხრეები იეღოვას მოწმეთა მიერ კასპში დაგეგმილი კონგრესის ჩაშლით იმუქრებიან.

როგორც პრაიმ-ნიუსს "გლდანის მართლმადიდებელი ეპარქიაში" აცნობეს, იეღოვას მოწმეები 16, 17 და 18 აგვისტოს კასპში, გრანდიოზული კონგრესის ჩატარებას გეგმავენ. **პრაიმ-ნიუსი**.

■ ■ ■

თბილისი.. მარუხის უღელტეხილზე რუსეთის მესაზღვრეთა მობილური ჯგუფის გამოჩენასთან დაკავშირებით, კოდორის ხეობის ადგილობრივი შენაერთები სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი, ხეობის ყველა მისადგომი მათ კონტროლს ექვემდებარება.

როგორც "ინტერ-პრესს" საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული მიმართულება "კოდორის ხეობის" სარდლის მოადგილემ გიორგი გვარმიანმა განუცხადა, რუსი მესაზღვრეების მობილური ჯგუფის ორი ჯარისკაცი ადგილობრივმა მეცხვარეებმა სოფელ ჩხალთიდან 22 კმ დაშორებით მდებარე აძგარის მჟავე წყლებთან შენიშნეს. ვითარების ადგილზე გასარკვევად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული მიმართულება "კოდორის ხეობის" ოპერატიული ჯგუფი ემზარ კვიციანის ხელმძღვანელობით გავიდა.

სავარაუდოდ, სოფელ აძგარის მჟავე წყლებთან შემჩნეული რუსი სამხედრო პირები მარუხის უღელტეხილზე დაბანაკებული რუსეთის მესაზღვრეთა იმავე მობილური ჯგუფის წევრები არიან, რომლებმაც რუსეთ-საქართველოს საზღვრის მარუხის უღელტეხილთან მიმდებარე მონაკვეთი პირველად 31 ივლისს გადმოკვეთეს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტმა, "ღია საზოგადოება – საქართველოს" ფინანსური დახმარებით, გამოსცა 20 აფხაზი პოეტის ლექსების კრებული ქართულ და აფხაზურ ენებზე.

კრებულში წარმოდგენილია აფხაზ პოეტთა ლექსები 1992-93 წ.წ. ომის თემაზე. იგი აფხაზმა ლიტერატორებმა სოხუმში შეადგინეს და ქართულ ბნკარედთან ერთად თბილისში გამოგზავნეს. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. ქართველი შემსრულებლების ტურნე შავი ზღვის სანაპიროზე ერთი კვირით გადაიდო.

როგორც "ინტერ-პრესს" ქართველ საესტრადო მომღერალთა შავი ზღვრის სანაპიროზე დაგეგმილი კონცერტების ერთ-ერთმა წამყვანმა, თამუნა გომართელმა განუცხადა, ტურნეს გადადება წვრილმანი საორგნიზაციო საკითხების მოუგვარებლობას უკავშირდება და ერთ კვირაში ქობულეთისა და ფოთის მაცხოვრებლებსა და დამსვენებლებს აუცილებლად მიეცემათ საშუალება, მამუკა ონაშვილს, ქეთა თოფურიას, გიგა გვენეტაძეს, თემურ რცხილაძეს, თემურ თათარაშვილს, ჯგუფებს "უტოპია", "სეიშენი" მოუსმინონ.

აღნიშნული ტურნეს ფარგლებში კონცერტები უკვე გაიმართა გურიაში, სამეგრელოში, კახეთსა და იმერეთში. ფოთსა და ქობულეთში დაგეგმილი კონცერტები კი, რომლებიც, სავარაუდოდ, 15 აგვისტოდან გაიმართება, ქართველ შემსრულებელთა ტურნეს დაასრულებს. **ინტერ პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ დიდუბე-ჩუღურეთისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონებში 150-მდე უსახური რეკლამა ჩამოხსნა.

ლაცურაშვილის ინფორმაციით, ადმინსტრაციული ინსპექცია უსახურ რეკლამებს თვეში ორჯერ, ქალაქის არქიტექტურის სამსახურის დიზაინის სამმართველოსთან ერთად, აწარმოებს. რეკლამების ჩამოხსნამდე მათ მფლობელებს სპეციალური გაფრთხილება ეგზავნებათ და თუ ამას შესაბამისი რეაგირება არ მოყვება, რეკლამა სარეკლამო დაფებიდან იხსნება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისა და ფრაქცია "აღორძინების" დეპუტაციის შეხვედრა, ჯემალ გოგოტიძის ასლან აბაშიძესთან ერთად საზღვარგარეთ ყოფნის გამო, დღეს არ გაიმართება.

"როცა საქართველოში ჩამოვალთ, აფხაზეთის დეპუტაციას აუცილებლად შევხვდებით" - აცხადებს გოგიტიძე, რომლის მტკიცებით, "აღორძინების" ბლოკი აფხაზეთის დეპუტაციას "არა ნადარეიშვილის, არამედ საკუთარი გონების კარნახით" შეხვდება.

როგორც "ინტერ-პრესს" "აღორძინების" წევრმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა განუმარტა, ფრაქციის ლიდერი გოგიტიძე უცხოეთში დასასვენებლად მყოფ ასლან აბაშიძეს ახლავს თან. აჭარის ლიდერის აბაშიძის კუთვნილი შვებულების გატარების ადგილის დასახელებისაგან ჭიპაშვილმა თავი შეიკავა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დელეგაციამ ამ უწყების დირექტორის მოადგილის, ნიკოლაი ჟდანკოვის ხელმძღვანელობით, თბილისში ხუთდღიანი ვიზიტი დაასრულა.

ვიზიტის დეტალები არ ხმაურდება, თუმცა როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილემ ლაშა ნაცვლიშვილმა უთხრა, უამრავ სხვადასხვა საკითხზე ორი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლობა შეთანხმდა.

იგი თვლის, რომ ორი ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის საქმიანი და კონსტრუქციული ურთიერთობებია. **პრაიმ-ნიუსი**.

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის განკარგულებით შექმნა მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია, რომელიც მოსახლეობის სუფთა სასმელი წყლით მომარაგებაზე იზრუნებს და ამ მიმართულებით ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შექმნაზე იმუშავებს.

კომისიას მოუწევს ასევე წლის ბოლომდე სახელმწიფო პროგრამის დამუშავება 2993-2995 წლებში ქვეყნის წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა-რეკონსტრუქციის ჩასატარებლად. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. კვირას თბილისში ჩამოვა ამერიკელი კონგრესმენების კიდევ ერთი დელეგაცია. როგორც კავკას-პრესს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, დელეგაციას 15-16 აგვისტოსათვის ელოდებიან.

კონგრესმენთა მეორე ჯგუფის ამერიკაში გამგზავრებისთანავე თბილისში ჩამოვა კონგრესმენთა მესამე სამუშაო ჯგუფი.

კავკას-პრესთან საუბარში სახელმწიფო კანცელარიაში აღნიშნეს, რომ საქართველოში ამერიკელი კონგრესმენების ვიზიტები მიანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ დიდია ამერიკის ინტრესი საქართველოს მიმართ. ვიზიტისას განიხილება მთელი სპექტრი პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციისა საქართვნლოში, ასევე რეგიონული პოლიტიკა. **კავკას-პრესი.**

ჭორბენაძემ ძალოვნებს და არასამთავრობოებს "დაპირისპირება" მოუწყო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ჩვენ მთავრობას იმისთვის არ ვხვდებით, რომ საკუთარ პრობლემებზე ვესაუბროთ..." ლევან ხერხეულიძის ფოტო

შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯერ სცადა, "არასამთავრობოთა თავდასხმა" სამინისტროს არასაკმარის დაფინანსებაზე, ტექნიკურ პრობლემებზე და დაწყებულ რეფორმაზე საუბრით აერიდებინა, მაგრამ, "არასამთავრობოთა" "ზეწოლის" შემდეგ, ამ მცდელობაზე უარი თქვა და მათი წინადადების შესწავლის პირობა დადო.

"არასამთავრობოთა" წინადადება, რომელიც ძალოვნებს და სახელმწიფო მინისტრს წერილობითი ფორმით მიაწოდეს, პოლიციაზე სამოქალაქო კონტროლის დაწესებას, კერძოდ, საზოგადოებრივი ზედამხედველობის საბჭოს შექმნას გულისხმობს. საბჭო გარკვეული ანალოგია იუსტიციის სამინისტროში არსებული მსგავსი სტრუქტურისა, თუმცა, მას კიდევ უფრო სერიოზული ფუნქციები უნდა დაეკისროს - მათ შორის წინასწარი დაკავების ადგილებში მონიტორინგის განხორციელების და დამნაშავე პოლიციელების საქმეების გამოძიებაზე კონტროლის დაწესების.

კობა ნარჩემაშვილი გუშინ საბოლოო პასუხის გასაცემად მზად არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, შესაშური აქტიობა გამოიჩინა გენერალურმა პროკურორმა, რომელმაც მსგავსი საბჭოების შექმნაზე თანხმობა გუშინვე განაცხადა და თქვა, რომ ორშაბათიდან ეს მოძრაობა შეიძლება უკვე პრაქტიკულად დაიწყოს.

ამ კონკრეტული შეთანხმების გარდა, "არასამთავრობოებმა" სცადეს, ძალოვანებთან პირისპირ შეხვედრის იშვიათი შანსი მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოეყენებინათ.

მაგალითად, გიგა ბოკერიამ ისარგებლა მომენტით და შს მინისტრსა და გენერალურ პროკურორს რელიგიურ შეუწყნარებლობაზე და მოძალადეთა დაუსჯელობაზე ჩამოუგდო სიტყვა.

"რელიგიური შეუწყნარებლობის ის კამპანია, რომელიც საქართველოშია გაჩაღებული, აბსოლუტურად ღიაა. მისი მონაწილეები სახალხოდ, ტელევიზიით და პრესით ადასტურებენ, რომ მონაწილეობას იღებდნენ დარბევებში. რითი უნდა ავხსნათ ამ დროს პოლიციის და პროკურატურის სრული უმოქმედობა?" - იკითხა მან.

გენერალურმა პროკურორმა პასუხად განაცხადა, რომ პროკურატურამ სასამართლოში 4-ჯერ დააყენა ბასილ მკალავიშვილის მოქმედებების აღმკვეთი ღონისძიების შესახებ საკითხი, მაგრამ სასამართლომ არც ერთხელ მას ეს ზომა არ შეუფარდა.

- თქვენ ნანახი გაქვთ, რა ხდება ხოლმე ამ დროს სასამართლოში? - იკითხა ბოკერიამ.

- ეს ჩვენი საქმე არ არის, - აიცილა პასუხისმგებლობა პროკურორმა.

- პოლიციის?

- ეს სასამართლოს საქმეა... - დააზუსტა ნარჩემაშვილმა.

მოკლედ, რელიგიურ ექსტრემიზმთან დაკავშირებული კითხვები გუშინ ისევ უპასუხოდ დარჩა.

ნანა კაკაბაძის მცდელობა კი, "თავისუფლების ინსტიტუტის" დარბევის შესახებ ჩამოეგდო სიტყვა, თავად "თავისუფლების ინსტიტუტმა" "ჩაჭრა":

- "ჩვენ მთავრობას იმისთვის არ ვხვდებით, რომ საკუთარ პრობლემებზე ვესაუბროთ..." - განაცხადეს მათ.

- ესე იგი, არ გიპასუხოთ? - იკითხა კომენტარისთვის მზად მყოფმა ნარჩემაშვილმა.

- მე მაინტერესებს! - ჩაურთო სიტყვა სახელმწიფო მინისტრმა.

- უჩვენოდ ვერ ესაუბრებით ერთმანეთს? - მრავალმნიშვნელოვნად "იხუმრეს" "თავისუფლელებმა".

მოკლედ, ხელისუფლებისა და არასამთავრობოების დიალოგი კვირა დილასაც შედგა. ამ კონკრეტული შეხვედრის კონკრეტული შედეგი უკვე სამინისტროსა და პროკურატურის დონეზე დაწყებული კონსულტაციები იქნება.

საქართველო საჰაერო თავდაცვის გაძლიერებას უკრაინის საშუალებით ცდილობს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"ომი ყველაფერს ჩამოწერს", რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, საკუთარი ხელით გავანადგურეთ სამოქალაქო ომის პერიოდში. მაგრამ ტოტალურ გაპარტახებას რაღაც მცირე ნაწილი მაინც გადაურჩა და რაკი ახალი თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შეძენა საქართველოს ბიუჯეტს დამუკიდებლად არ ძალუძს, დღის წესრიგში ძველის აღდგენის საკითხი დადგა. ასეთი სამუშაოს შესრულებას კი საქართველოს თავადაცვის სამინისტრო, როგორც ჩანს, უკარაინის სამხედრო სამრეწველო კომპლექსს დაუკვეთავს. რუსეთის სახით მეორე სავარაუდო პარტნიორი, რომელსაც საქართველოს მსგავსი რადიოლოკაციური კონტროლის და საზენიტო-სარაკეტო სისტემები აქვს, იმთავითვე გამოირიცხა შესაბამისი სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზის არარსებობის გამო. გარდა ამისა, როგორც ქართველი სამხედროები მიიჩნევენ, უკრაინული თავდაცვითი სისტემები დიდი საიმედოობითაც გამოირჩევიან და უკრაინული შეკვეთა გაცილებით იაფი ჯდება. თუმცა, თითოეული ეს მოსაზრება საგულდაგულო გადამოწმებას საჭიროებს.

საქმე ის გახლავთ, რომ უკრაინის საჰერო თავდაცვის ძალებს მართლაც დიდი პრობლემები გაუჩნდათ მას შემდეგ, რაც შორი მოქმედების საზენიტო სისტემით C-200- , უკრაინელმა მეზენიტეებმა 2000 წელს შავი ზღვის თავზე რუსეთის სამგზავრო თვითმფრინავი T -154M ჩამოაგდეს. თუმცა, როგორც გაზეთ "კვირის პალიტრის" სამხედრო მიმომხილველი ირაკლი ალადაშვილი მიიჩნევს, უკრაინულის სისტემების არაეფექტურობაზე მეტად, ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის დაბალ დონესთან გვაქვს საქმე.

დამოუკიდებელ სამხედრო ექსპერტებს, უკრაინული სისტემების საიმედობაზე უფრო მეტად, იმის ეშინიათ, რომ რამდენიმე მილიონად შეფასებული კონტრაქტი, შეიძლება ვერ აღმოჩნდეს დაზღვეული იმ მანკიერი მოვლენებისაგან, რომლებსაც ერთხელ უკვე ჰქონდა ადგილი უკრაინიდან საბრძოლო კატარღების შეძენის დროს და რის გამოც საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების მაშინდელი სარდალი, პირველი რანგის კაპიტანი ოთარ ჩხარტიშვილი საბრალდებო სკამზე აღმოჩნდა. ეს ცდუნება უფრი იზრდება ამ შემთხვევაში, რადგან, თუკი ხელისუფლება თავდაცვის სამინისტროს მიერ საჰაერო თვდაცვის სისტემის გასაძლიერებლად შედგენილ პროგრამას დაამტკიცებს, მის მომსახურებაზე სახელმწიფომ მხოლოდ პირველ წელს 4 მილიონი, ხოლო მთლიანობაში კი 12 მილიონი ლარი უნდა გამოყოს. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს თავადცვის სამინისტროს წლიური ბიუჯეტის ერთ მესამედს შეადგენს

მანკიერი ტენდენციებისგან საქართველოს თავადცვისუნარიანობისთვის მეტად საჭირო ქართულ-უკრაინული კონტრაქტის დასაზღვევად, რომლის ხელის შეშლით, იარაღის ბაზარზე არსებული მწვავე კონკურენციის გათვალისწინებით, მომავალში არაერთი ძალა იქნება დაინტერესებული, საქართველოს ხელისუფლებას ამთავითვე მართებს თადარიგის დაჭერა. მაგრამ, საქმეც ისაა, რომ საქართველოში ყოველთვის უფრო მეტი ენერგია სამთავრობო წრეებში ამა თუ იმ პროგრამის ლობიერებაზე იხარჯება, ვიდრე ფინანსების მიზნობრივ ხარჯვაზე, რის გამოც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ხშირად ზარალდება როგორც პარტნიორი ქვეყნის, ისე თავად საქართველოს სახელმწიფო ინტერესები.

სამართალი

სამთვიანი პატიმრობა გარანტირებულია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

პოლიცია ზაზაშვილს ჟურნალისტებისგან იცავს მარიკა ამერველაშვილის ფოტო

გაზაშვილს დღემდე ვერ უმტკიცებენ, რომ სწორედ მან მოკლა იგორ ზაიცევი, რომელიც, როგორც გაირკვა, მისი ახლობელი და ყოფილი თანამშრომელიც კი ყოფილა. სამაგიეროდ, გაზაშვილს ადვილად დაუმტკიცეს იარაღის ტარება-შენახვა, მისი დის სახლიდან ამოღებული ავტომატისა და ტყვიების საფუძველზე. გუშინაც სასამართლომ სწორედ ამ დანაშაულისთვის შეუფარდა მას აღმკვეთი ღონისძიება. თუმცა, გარკვეული საფუძველი იმისა, რომ ნამდვილად გაზაშვილმა მოკლა ან მონაწილეობა მიიღო ზაიცევის მკვლელობაში, არსებობს. თვითმხილველმა გვამის აღმოჩენის ადგილას სწორედ მისი მანქანა დაინახა. თავად გაზაშვილი კი, რომელიც თავის წინააღმდეგობრივ ჩვენებებში, ერთი პირობა, ზაიცევთან ნაცნობობას სულაც უარყოფდა, მოკლულის ცოლმა ამოიცნო. იგორ ზაიცევის მეუღლის თქმით, სწორედ გაზაშვილმა მიაკითხა მის ქმარს გაუჩინარების დღეს. ამასთანავე, გაზაშვილის მანქანაში აღმოჩენილია მოწითალო-მოყავისფრო ლაქები, რომლებიც სისხლს ჰგავს, თუმცა იმის დასადგენად, არის თუ არა ეს ნამდვილად სისხლი და, კერძოდ, ზაიცევის, ქიმიურ ექსპერტიზას რამდენიმე დღე დასჭირდება. მიუხედავად იმისა, რა დასკვნას წარადგენს ექსპერტიზა, გაზაშვილის ადვოკატები მაინც ირწმუნებიან, რომ ზაიცევის დაკარგვის დღეს გაზაშვილს მანქანა სულ რამდენიმე საათით მოპარეს. მანქანის უკან დაბრუნებამდე კი მის მფლობელს ამ ინციდენტის შესახებ პოლიციაში განცხადება ვერ მოუსწრია. საეჭვოა, მათ ამის დადასტურება შეძლონ, ისევე, როგორც ვერ გამოდგება გაზაშვილის პოლიციაში ცემის დასამტკიცებლად მოლურჯო ლაქები მის ხელებზე. პროკურატურის გამომძიებელი თამაზ ფირცხალავა, რომელიც ექსპერტის დასკვნას ელის, ვარაუდობს, რომ უკვე სიყვითლეშეპარული ლაქები ბრალდებულმა ან დაკავებამდე მიიღო, ან კიდევ სულაც ხელბორკილების კვალი დარჩა.

"გაზაშვილს ნაცემისა და ნაწამების არაფერი ეტყობა. სრული საფუძველი მქონდა, მისთვის აღმკვეთი ღონისძიება შემეფარდებინა. ამ ადამიანის ირგვლივ ბევრი რამ არის საეჭვო: მანქანა, რომლითაც თითქოს მან გვამი გადაიტანა, 30 ივლისს სასწრაფოდ გაუყიდია და 1 აგვისტოს გასხვისების საბუთებიც გაუფორმებია. გარდა ამისა, მას არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებშიც დიდი ქაოსია. აქედან გამომდინარე, არავინ არის გარანტირებული, რომ იგი, გათავისუფლების შემთხვევაში, თავს არ აარიდებდა გამოძიებასთან თანამშრომლობას", -- ასე ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებას ვაკე-საბურთალოს რაიონის მოსამართლე მამუკა ნოზაძე.

ადვოკატები კი ამ ეტაპზე მოსამართლის გადაწყვეტილების გასაჩივრებასა და გაზაშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილად ცნობის დადგენილების გაუქმების მოთხოვნას აპირებენ. მათი თქმით, რადგან გამოძიებამ ეჭვმიტანილად ცნობიდან 48 საათში მისთვის განზრახ მკვლელობის მუხლით ბრალის წაყენება ვერ შეძლო, კანონი მას ეჭვმიტანილადაც აღარ თვლის.

შემოდგომაზე აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა რეგისტრაცია იწარმოებს

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

2002 წლის 18 ნოემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით საქართველოში იწარმოებს დევნილთა რეგისტრაცია და 2003 წლის ახალი ნიმუშის დევნილის მოწმობების გაცემა.

რეგისტრაციის გავლისა და მოწმობის მისაღებად, რაიონულ გამგეობაში შექმნილ კომისიებში ვალდებულია გამოცხადდეს ერთი საოჯახო ანკეტის ნომრის მქონე ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წევრი და კომისიას წარუდგინოს თავისი და ოჯახის წევრების შემდეგი საბუთები:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, დამოწმებული პიროვნების დამდგენი კომისიის მიერ;

ბ) 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის – დაბადების მოწმობა, დამოწმებული პიროვნების დამდგენი კომისიის მიერ;

გ) 2002 წლის ნიმუშის დევნილის მოწმობა.

ზემოაღნიშნული საბუთების ასლები არ მიიღება!

ყველა დევნილს, ვისაც არ გააჩნია საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, უმორჩილესად ვთხოვთ, დაუყოვნებლივ მიმართოს აფხაზეთის ა/რ და ცხინვალის რეგიონის ქალაქებისა და რაიონების შესაბამის საპასპორტო-სავიზო სამსახურებს.

გთხოვთ, ყურადღებით მოეკიდოთ ამ განცხადებას, რადგან 2003 წლის 1 იანვრიდან ყოველგვარი სახელმწიფო ფულადი თუ სხვა სახის დახმარება გაიცემა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი საბუთების საფუძველზე.

დევნილთათვის, რომლებიც სამინისტროსგან დამოუკიდებელი მიზეზებით, გრაფიკით დადგენილ ვადებში (18 ნოემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით) არ გაივლიან რეგისტრაციას და არ გამოცვლიან დევნილის მოწმობას, დამატებითი რეგისტრაცია და, შესაბამისად, მოწმობების გამოცვლა იწარმოებს ყოველი თვის დასაწყისში, სამინისტროს მიერ დადგენილ დღეს. ამ კატეგორიის დევნილი ყოველგვარ სახელმწიფო დახმარებას მიიღებს რეგისტრაციის გავლისა და მოწმობის აღების მომდევნო თვიდან.

აღნიშნული კამპანიის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, 2002 წლის 18 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე შეწყდება დევნილთა აღრიცხვაზე აყვანა (ახალშობილთა გარდა) და გადამისამართება.

კიდევ ერთხელ ვთხოვთ თითოეულ დევნილს, ზედმიწევნით ყურადღებით მოეკიდოს წინამდებარე განცხადებას.

ძვირფასი ტვირთის გაუჩინარება

პარიზის შარლ დე გოლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში 1 მილიონი ევროს ღირებულების ალმასების პარტია გაქრა. როგორც საფრანგეთის დედაქალაქის ფულისა და ძვირფასეულობის გადაზიდვებზე პასუხისმგებელი კომპანია იუწყება, ალმასები პარიზში სამშაბათს უნდა ჩასულიყო მონაკოდან, იქიდან კი ბელგიაში, ანტვერპენში უნდა გაეგზავნათ მათი მფლობელისთვის, მსოფლიოში სახელგანთქმულ ალმასების დაწახნაგების ცენტრში.

დაკარგული ალმასები, პარიზში ჩატანამდე, მონაკოს ერთ-ერთ ფეშენებელურ ოტელში იყო გამოფენილი.

ალმასების დაკარგვის საქმეს პარიზის გარეუბნის, ბობინის ბანდიტიზმთან მებრძოლი განყოფილება იძიებს. გამოძიებამ უკვე დაადგინა, რომ ალმასები ოთხ სპეციალურ ყუთში ინახებოდა და ნიცადან პარიზამდე მართლაც მიაღწია. მაგრამ, უკვე ოთხშაბათს, პარიზის აეროპორტში ძვირფასეულობის კვალს ვეღარ მიაგნეს. ამის თაობაზე სასწრაფოდ აცნობეს საავიაციო ტერმინალის ჟანდარმერიას. ამ ეტაპზე ბანდიტიზმთან მებრძოლები გულმოდგინედ სწავლობენ ყველა იმ ადამიანის მონაცემებს, რომლებმაც მონაკოდან პარიზში ალმასების ტრანსპორტირებაში მიიღეს მონაწილეობა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

რუსებისთვის ხურდის დაბრუნებამ შედეგი გამოიღო

პირველი გვერდიდან

სტავროპოლის მხარეში მიმდინარე სამხედრო სწავლებები და სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების მუშაობა იყო, რასაც, შეიძლებოდა, ქართული თვითმფრინავებისთვის "საშიშროება შეექმნა." ამ შეზღუდვების გამო, "აირზენას" ეკონომიკურმა ზარალმა რამდენიმე დღეში 100 ათას დოლარს მიაღწია. ამავე დროს, რუსეთის მიერ დახურულ საჰაერო სივრცეში თავისუფლად მოძრაობდნენ სხვადასხვა ქვეყნების თვითმფრინავები, რამაც ქართველ ავიატორებს რუსეთის ქმედების პოლიტიკურ რაკურსში განხილვისა და ხმამაღალი განცხადებების გაკეთების საშუალება მისცა. **"საქართველო იძულებული იყო, მიეღო საპასუხო ზომები,** - განაცხადა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა, მერაბ ადეიშვილმა, - **ჩვენი მხრიდან რუსული თვითმფრინავების შეფერხების მიზეზად კი მათ მიერ განხორციელებული ქმედებები დავასახელეთ."**

კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც ხელისუფლებას რუსეთთან "ავიაბრძოლაში" ხელ-ფეხი გაუხსნა: რუსეთის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში განაცხადეს, რომ სტავროპოლის მხარეში სამხედრო სწავლებებისა და, შესაბამისად, საჰაერო სივრცეში არსებული შეზღუდვების შესახებ არაფერი სმენოდათ. ამ ინფორმაციამ საბაბი მისცა ქართულ მხარეს, "აეროფლოტის" თვითმფრინავები თბილისში სწორედ სტავროპოლის მხარეში მიმდინარე სამხედრო სწავლებებთან დაკავშირებული რისკის გამო დაეყოვნებინათ. საბოლოოდ, საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსი სამხედროებისთვის ხურდის დაბრუნებამ შედეგი გამოიღო: "აეროფლოტის" მოძველებული "ტუ-154"-ებისთვის მათ მიერვე "ნაკარნახევი" გრაფიკი საკმაოდ მკაცრი აღმოჩნდა, ამიტომაც მოსკოვმა ოპერატიულად იზრუნა საკუთარ ავიაკომპანიაზე და სამხედროებს ქართული მხარისთვის დაწესებული შეზღუდვები სასწრაფოდ მოახსნევინა.

ხელისუფლებას "იტერას" "შეშინება" სურს

პირველი გვერდიდან

ვალებიც ჩაიწეროს, რომელთა მიღებასაც რუსული მხარე საქართველოს ხელისუფლებისგან ჩვეული დაჟინებით აღარ ითხოვს. თუმცა, პატარიძე მიიჩნევს, რომ **"ვინაიდან მოლაპარაკებები ჯერ ისევ მიმდინარეობს, ამაზე საუბარი ნაადრევია."**

"იტერასთან" სამუშაო პროცესში შესული მოლაპარაკებების პარალელურად, ხელისუფლება "თბილგაზის" რეანიმაციის ალტერნატიულ ვარიანტებზე ალაპარაკდა. ჯორბენაძის მიერ ამ თემაზე წამოწყებული საუბარი "იტერას" "შეშინების" მცდელობას უფრო წაგავს, რადგან "თბილგაზის" რეანიმაციის პროექტის ავტორები, საქართველოს ხელისუფლების გარდა, ამ თემაზე "იტერასთანაც" ცდილობენ მოლაპარაკებების დაწყებას. როგორც "თბილგაზის" რეანიმაციის ერთ-ერთი პროექტის ავტორი, "საქტრანსგაზმრეწვის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ვანო ზაზაშვილი აცხადებს, ის მზადაა, "თბილგაზის" ახალი მენეჯმენტის პროექტი "იტერას" სამუშაო ჯგუფთან ერთობლივად განიხილოს. ზაზაშვილის პროექტი 27 მილიონ 500 ათასი დოლარი ჯდება და "თბილგაზის" შიდა ქსელისა და მრიცხველების სისტემის სრულ რეორგანიზაციას ითვალისწინებს. პროექტში ასევე სექტორის ადმინისტრირების სტილის შეცვლის აუცილებლობაზეც არის საუბარი.

"იტერა-ჰოლდინგის" მიერ საქართველოში წარმოგზავნილ სპეციალისტთა ჯგუფთან ერთად, მომავალ ხელშეკრულებაზე მუშაობას ქართული მხარე ამ კვირაში შეუდგება. ამ მიზნით თბილისში "იტერა-ჰოლდინგის" დირექტორი ვალერი ოტჩერცოვი "იტერას" ენერგეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მიხაილ პოტაპენკოსა და მის ჯგუფს აგზავნის. ოტჩერცოვი საქართველოს მხრიდან, გაზის საწარმოებთან ერთად, ვალებში სააქციო საზოგადოება "აზოტის" "გაქვითვასაც" ითხოვს.

აკაკი ზოიძეს "იტერა-ჰოლდინგის" "ძვლის მკვნეტელი" იურისტების არ ეშინია და იმედი აქვს, რომ ქართული მხარე მოერევა მათ და საკუთარი ინტერესების დაცვასაც მოახერხებს. თუმცა, ის პირობები, რომლებიც ამ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით გახმაურდა, ეჭვს ტოვებს, რომ დასაცავი უკვე აღარაფერი რჩება.

ნავთობკომპანიები ერაყთან ომისათვის ემზადებიან

თორნიკე შარაშენიძე

ცივილიზებული მსოფლიო უკვე კარგად იცნობს სადამ ჰუსეინს და, აქედან გამომდინარე, ნავთობკომპანიები ყველაზე უარესისათვის ემზადებიან. ყველასათვის ცხადი ხდება, რომ აშშ-ს მიერ ერაყზე სამხედრო დარტყმის განხორციელება მხოლოდ დროის საქმეა და ისიც აშკარაა, რომ კუთხეში მიმწყვდეული სადამი, თუკი ბრძოლის ველზე ვერ გასცემს საკადრის პასუხს საძულველ მეტოქეს, ყოველნაირად ეცდება, მას სხვანაირად ჩაუშხამოს ზეიმი – მაქსიმალური ზარალი მიაყენოს კუვეიტსა და საუდის არაბეთს, საიდანაც ვაშინგტონი ნავთობს იღებს. ერთი სიტყვით, ერაყთან ომი მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მარაგის მკვეთრ შემცირებასა და საწვავის ფასების გაზრდას გამოიწვევს, რისთვისაც ნავთობკომპანიებმა თადარიგი უნდა დაიჭირონ.

ერაყი ირანსაც ესაზღვრება, რომელთანაც ოდესღაც ხანგრძლივ ომში იყო ჩაბმული. თუმცა, ახლა საეჭვოა, რომ აშშ-სთან კონფლიქტი ჰუსეინმა თეირანის საწინააღმდეგოდაც გამოიყენოს. ეს ქვეყანა ხომ ამერიკის მტრად მიიჩნევა და ამ შემთხვევაში სადამს მისი დასუსტება ხელს არ აძლევს. მით უმეტეს, რომ აშშ ირანის ნავთობზე დიდად დამოკიდებული არ არის. საერთოდ, ვაშინგტონ-თეირანბაღდადის სამკუთხედი ერთობ დამაინტრიგებელი რამაა. თავის დროზე უფროს ბუშს, ერაყის მიწასთან გასწორების შემდეგ, თავისუფლად შეეძლო სადამის მოცილება, მაგრამ ასე არ მოიქცა, სავარაუდოდ, იმ მოსაზრებით, რომ ჰუსეინის რეჟიმი რეგიონში ირანის გავლენის დასაბალანსებლად გამოეყენებინა. ახლა ირანი ისევ "ბოროტების ღერძია," უმცროს ბუშს კი ისევ ჰუსეინთან ომი უწევს.

საერთოდ, სადამი ხშირად მანიპულირებს ხოლმე ნავთობის კოზირით. მოგეხსენებათ, ამ ქვეყნის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციები მოქმედებს, მაგრამ გაერო-მ ბაღდადს ნება დართო, მოახდინოს ნავთობის ექსპორტირება და სანაცვლოდ ქვეყანაში სამედიცინო მედიკამენტები და საკვები შეიტანოს. ჰუსეინი ზოგჯერ სიამოვნებით იყენებს ამ წყალობას, ზოგჯერ კი მოულოდნელად პროტესტს გამოუცხადებს ხოლმე დასავლეთს და ნავთობის ექსპორტს აჩერებს, რაც მაშინვე ქმნის საწვავის დეფიციტს მსოფლიო ბაზარზე. ძნელი სათქმელია, რით არის ხელსაყრელი ამგვარი ვითარება ერაყის დიქტატორისთვის. შეიძლება, მას, უბრალოდ, სიამოვნებას ანიჭებს ის ფაქტი, რომ მის ხუშტურებზე საწვავის ფასებია დამოკიდებული.

მაგრამ ახლა ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან ომის შემთხვევაში საუდეთის არაბეთისა და კუვეიტის ნავთობსაწარმოებისაკენ, ალბათ, დიდი რაოდენობით ერაყული ჭურვი გაფრინდება. ორივე ქვეყანა ირწმუნება, რომ ისინი თავდაცვისათვის მზად არიან, მაგრამ ვერავინ იძლევა გარანტიას, რომ ამ ქვეყნებიდან ნავთობის ექსპორტს საფრთხე არ ელის.

თუკი სამწუხარო ვარაუდი გამართლდა, მაშინ საწვავის ფასი მკვეთრად ავარდება და ნავთობკომპანიები გვარიან მოგებას ჩაიჯიბავენ. ასე რომ, ზოგი ჭირი ზოგიერთებისათვის მარგებელია.

არმია

ვის სჭირდება დაავადებული ჯარისკაცები?

პირველი გვერდიდან

ითხოვს და ესეც ვერ ხერხდება. ჰოსპიტალში აცხადებენ, რომ ბოლო დროს მათ მხოლოდ ავთანდილ ჯორბენაძესთან კარგი ურთიერთობა შველოდათ. როცა ჰუმანიტარული დახმარება ჩამოდიოდა, მიდიოდნენ, სთხოვდნენ და, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, **„ერთ კაი სუფრასაც კისრულობდნენ“**. ექიმები ფიქრობენ, რომ ღმერთი სწყალობთ, რადგან საბჭოთა ჯარის მშვენიერი მოვლის პირობებში, ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ვრცელდებოდა ინფექციები, ახლა, სრულიად აუხსნელია, მაგრამ ასეთი შემთხვევები ჯერ არ ყოფილა. გავრცელებული დაავადებების მიზეზი, ხშირად, მედიკამენტების არარსებობაა. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტში მოცემული მუხლი – „მედიკამენტების შეძენა“ - ბოლო წლების მანძილზე ან საერთოდ არ ფინანსდებოდა, ან მისი ოდენობა უკიდურესად მიზერული იყო. ამიტომაცაა, რომ ექიმებს მხოლოდ იაფფასიანი ტკივილგამაყუჩებლები აქვთ და ნებისმიერი დაავადების შემთხვევაში, „აბი გლუკოზასავით“, მას აძლევენ ჯარისკაცებს. ზოგიერთ ნაწილში ჯარისკაცები ასახელებენ უამრავ ფაქტს, როცა მათთვის სულ უბრალო ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაც არ იყო ხელმისაწვდომი. ყოფილა შემთხვევები, როცა ინფექციური ან ფილტვების მძიმე დაავადებით დასნეულებულ ჯარისკაცს, დიდი ხნის განმავლობაში, მხოლოდ ციტრამონს აძლევდნენ, რადგან სამხედრო ნაწილში სხვა წამალი არ ჰქონდათ. ხშირად თვითონ მეთაურებიც უგულისყუროდ ეკიდებიან ჯარისკაცთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ჩივილებს და ამას მძიმე პირობებით შენუხებული ახალგაზრდების „სიმუღანტობით“ ხსნიან.

სამხედრო კომისარიატებს გასაწვევი კონტიგენტის გეგმა აქვს, რომლის შევსებაც ხშირად ავადმყოფი წვევამდელებით ხდება. ასე ხვდებიან ჯარში უკვე დაავადებული ახალგაზრდები. სამხედრო კომისრები ამტკიცებენ, რომ ავადმყოფი ჯარისკაცები არავის სჭირდება, მათ, უბრალოდ, ნორმალური სამედიცინო გამოკვლევის ჩატარების პირობები არ აქვთ და წვევამდელის შემოწმება მხოლოდ მისი ვიზუალური დათვალიერებით შემოიფარგლება.

თელაველი პაატა როსტომაშვილი ჯარში გასულ წელს ახალციხის სამხედრო ნაწილში გაიწვიეს. ერთი კვირის შემდეგ პაატა სახლში გაიქცა და აცხადებდა, რომ შიშები ჰქონდა. მას სასწრაფოდ უკან დაბრუნება მოსთხოვეს. ახალგაზრდა კაცმა თავის მოწამვლა სცადა. ნევროლოგებმა მას რეაქტიული ფსიქოზის დიაგნოზი დაუსვეს და მკურნალობა დაუნიშნეს. ცოტა ხნის შემდეგ პაატა კვლავ გაიწვიეს, ამჯერად თელავში, რუისპირის სამხედრო ნაწილში. მისი ხელახალი გაწვევიდან ცოტა ხნის შემდეგ ამ ნაწილში ტრაგედია დატრიალდა: სეტყვის საწინააღმდეგო ჭურვის აფეთქებამ ორი ჯარისკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა, პაატა როსტომაშვილი კი სამუდამოდ დაინვალიდდა – დაუზიანდა ფეხი და დაკარგა მხედველობა.

ჯარისკაცის რეაქტიული ფსიქოზით დაავადების ეს შემთხვევა გამონაკლისი არ არის. გასულ წელს ნერვული სისტემის მოშლილობით ექიმებს მიაკითხა 700-მდე რიგითმა და 300-მდე ოფიცერმა, მძიმე ფსიქიკური მოშლილობის დიაგნოზით კი სტაციონალურ მკურნალობას 200-მდე ჯარისკაცი გადიოდა. საერთო მონაცემებით, ქართველ სამხედროთა 8-10 პროცენტი მძიმე ნერვულ დაავადებებს ყოველწლიურად მკურნალობს.

საგანგაშოა სამხედრო ნაწილებში მკვლელობისა და თვითმკვლელობის ფაქტების სიხშირე. სამხედრო პროკურატურა ამას იმით ხსნის, რომ ჯარი საზოგადოების ნაწილია და ის, რაც ხდება ქვეყანაში, ჯარშიც აისახება; საზოგადოებაში კი, ზოგადად, უფრო ხშირია თვითმკვლელობები, ვიდრე არმიაში. აქ წელიწადში, დაახლოებით, 20-მდე ამგვარი ფაქტი აღირიცხება. კიდევ უფრო მეტია თვითმკვლელობის მცდელობები და მისგან გამოწვეული ტრავმები ან მძიმე მოწამვლები, რასაც ხშირად ინვალიდობა მოსდევს.

გართულებულია დაავადებული ჯარსკაცის სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება. კანონით, ჯარისკაცი სამხედრო სამსახურიდან რომ დაითხოვონ, აუცილებელია მისი ექსპერტიზაზე გაყვანა. ეს ხარჯებთანაა დაკავშირებული, სოციალურად დაუცველი ფენის ახალგაზრდებს კი, როგორც წესი, ფულის გადახდის საშუალება არ აქვთ. ჯარისკაცი ისევ სამხედრო ნაწილში ბრუნდება, სადაც დაავადება კიდევ უფრო უმწვავდება.

საბოლოოდ, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ჯარში გავრცელებული დაავადებები ორი მთავარი მიზეზითაა გამოწვეული – კომისარიატებში წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი წაყრუებით და თავად სამხედრო ნაწილებში სამედიცინო მომსახურების დაბალი დონით. არის კიდევ ერთი პრობლემა: თუ ჯარისკაცი დაავადებული იყო გაწვევისას, მაშინ, კანონით, სამხედრო კომისარიატის თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ამის აღიარებას თავად ექიმებიც ერიდებიან და ცდილობენ, ჯარისკაცთა დაავადება დოკუმენტურად არ დაადასტურონ. ამის გამო კი, პირველ რიგში, ჯარისკაცი ზარალდება, რომლის ჯანმრთელობის გაუარესებაც, არც თუ იშვიათად, მის სიცოცხლეს საფრთხეს სამხედრო სამსახურის პერიოდშივე უქმნის.

უცხოეთი

ტერორისტი წმინდანები

ის ადგილი ქალაქ ყანდაჰარის სასაფლაოზე, სადაც "ალ ქაიდას" მეომრები არიან დაკრძალულები, უამრავ ადამიანს იზიდავს. ავღანეთში სწრაფად ვრცელდება ხმა, რომ მათ საფლავებს ავადმყოფთა განკურნვა და სასწაულების მოხდენა შეუძლიათ. ყოველ პარასკევს ათასობით ადამიანს მიაქვს მათ საფლავებზე მარილი და იქიდან აღებული მიწით სახლში ბრუნდებიან. პუშტუნების ტრადიციის მიხედვით, ამ რიტუალით წმინდანის ნეშტი ადამიანებს განკურნებაში ეხმარება. ყარზაის მთავრობის მიერ სასაფლაოს დარაჯებად დაყენებული ჯარისკაცებიც კი ირწმუნებიან, რომ საფლავების შეხების შემდეგ მუნჯი ალაპარაკდა და ყრუს სმენა დაუბრუნდა. თავად ავადმყოფები ამბობენ, რომ აქ მისვლა გაცილებით სჯობს ექიმთან ვიზიტს. უცხოელები გაოცებას ვერ მალავენ: რისთვის მიდიან პუშტუნები არაბების, პაკისტანლების, ჩეჩნებისა და ყაზახების საფლავებზე? იმისათვის, რომ განიკურნონ თუ იმისათვის, რომ პატივი მიაგონ დაღუპული მებრძოლების ხსოვნას, რომლებმაც დანებებას სიკვდილი არჩიეს და, მართალია, ავღანელები არ იყვნენ, მაგრამ "ჭეშმარიტი ავღანელებივით" იომეს? ამ დროს ყარზაის მთავრობა აცხადებს, რომ ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა თალიბების დამხობას. ან რა სიკეთე მოუტანა თალიბანის მართლაც ბარბაროსულმა მმართველობამ ქვეყანას? ბევრი არაფერი, მაგრამ პუშტუნებს, როგორც ჩანს, ცივილიზებულ უცხოელებს ისევ ბარბაროსი თანამემამულეები ურჩევნიათ. (ინდეპენდენტი)

ლოცვა წმინდა მეომრის საფლავზე

ტერორისტებს ირანიც ებრძვის

სენსაციური განცხადება გააკეთა საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრინცმა საუდ ფაიზალმა. მისი თქმით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ირანის ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობს როგორც ელ-რიადთან, ისე თავად ვაშინგტონთანაც. წელს თეირნმა საუდის არაბეთს 16 დაკავებული გადასცა, რომლებსაც "ალ ქაიდას" წევრობაში ედებოდათ ბრალი. ეს ფაქტი მით უფრო აღსანიშნავია, რომ თეირანმა იცოდა, ტერორისტთა დაკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას საუდელები ვაშინგტონს გადასცემდნენ.

პრინცის ეს განცხადება სენსაციად აღიქმება იმ ფონზე, როდესაც ამერიკელები სისტემატურად ადანაშაულებენ ირანს ტერორიზმის მფარველობაში. აშშ-ს სპეციალური წარმომადგენელი ავღანეთში ზალმაი ხალილზადი აცხადებდა, რომ ავღანეთიდან "აორთქლებული" ტერორისტები ირანის გავლით გავიდნენ სამშვიდობოს. თავად საუდის არაბეთსაც ბევრი ადანაშაულებს რადიკალური ისლამისა და ისლამური ტერორისტული ორგანიზაციების მფარველობასა და დაფინანსებაში. ამ ბრალდების საპასუხოდ, მინისტრი ამბობს, რომ მისი ქვეყანა კვლავაც დაუჭერს მხარს ისლამის განმტკიცებასა და პოპულარიზაციას, მაგრამ ერთია რელიგიური მოღვაწეობა და სულ სხვა - ტერორისტების მხარდაჭერა, მით უმეტეს, ისეთებისა, რომლებსაც საუდელების დინასტიის დამხობა აქვთ განზრახული.

ტერორისტის გადაცემა

სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრა ზეგ გაიმართება

ალიევისა და კოჩარიანის მორიგი შეხვედრა 14 აგვისტოს გაიმართება. ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ნახჭევანში გამგზავრების წინ განუცხადა ჟურნალისტებს. შეხვედრა აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე, სადარაკში შედგება. დღის წესრიგი იგივეა, რაც წინა 14 სამიტის დროს – ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება. ბაქო კვლავაც აცხადებს, რომ სანამ ეს პრობლემა არ გადაწყდება, იგი ერევანთან სხვა საკითხზე ლაპარაკს არც აპირებს.

შეხვედრა ალიევის ინიციატივით იმართება, თუმცა კოჩარიანმაც არაერთხელ გამოთქვა სურვილი, პირისპირ ესაუბრა აზერბაიჯანელ კოლეგასთან.

კონფლიქტის მოგვარების ძირითადი პრინციპები კვლავაც საიდუმლოდ რჩება. თუმცა, როგორც თავად ალიევის, ისე სომხეთის მაღალი რანგის ოფიციალური პირების მიერ გაკეთებული განცხადებებიდან ჩანს, დარეგულირების ამ ახალ მცდელობას საფუძვლად, შეიძლება, ე.წ. "პარიზის პრინციპები" დაედოს, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს დერეფნების გაცვლა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. მელრის დერეფნის სანაცვლოდ, რომელიც აზერბაიჯანს ნახჭევანთან აერთებს, აზერბაიჯანი სომხეთს სომხეთ-ყარაბაღის დამაკავშირებელ ლაჩინის დერეფანს გადასცემს. სავარაუდოდ, ამასთან ერთად, გადაწყდება ყარაბაღის სტატუსისა და მისი უსაფრთხოების გარანტიების საკითხები.

მიუხედავად იმისა, რომ "პარიზის პრინციპები" უკვე საკმაო ხანია, განიხილება, როგორც ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრის საფუძველი, ბევრი მათ სკეპტიკურად უდგება. მეღრის ოლქი სომხეთს ირანთან აკავშირებს და მისთვის "სიცოცხლის ერთ-ერთ გზას" წარმოადგენს. ამიტომ, ფიქრობენ, რომ სომხეთი ყარაბაღს უფრო დათმობს, ვიდრე ამ ოლქს.

ამასობაში, თავად ყარაბაღში გუშინ საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. გამარჯვებისთვის 4 კანდიდატი იბრძოდა: ამჟამინდელი პრეზიდენტი არკადი გუკასიანი, პარლამენტის ყოფილი სპიკერი არტურ ტოვმასიანი, ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ალბერტ გაზრიანი და ბლოკ "ერთობის" ლიდერი გრიგორი აფანასიანი.

არჩევნების წინ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, გუკასიანის რეიტინგი, მას შემდეგ, რაც მან ყარაბაღის არმიის ყოფილი მთავარსარდალი სამველ ბაბაიანი დააპატიმრა, საკმაოდ დაეცა. ყარაბაღში ნელ-ნელა იზრდება იმის შიშიც, რომ მათი ინტერესები, კონფლიქტის საბოლოო მოგვარების დროს, შესაძლოა, ნაკლებად იქნას გათვალისწინებული. თუმცა, სანამ სომხეთს ყარაბაღის ყოფილი პრეზიდენტი კოჩარიანი უდგას სათავეში, ეს, ალბათ, ნაკლებად რეალურია.

რაკი ყარაბაღის დამოუკიდებლობას არავინ სცნობს, ეს არჩევნებიც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მესამე ქვეყნების, მათ შორის, რუსეთის, მიერ არალეგიტიმურად იქნა აღიარებული. საერთაშორისო საზოგადოებამ მის მონიტორინგზე უარი განაცხადა. არჩევნებზე დამკვირვებლად მხოლოდ სომხეთის "მეგობრები" ჩავიდნენ, მათ შორის, ამერიკელი კონგრესმენი ფრენკ პალონე და ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრი ბარონესა კოქსი.

მიმომხილველთა აზრით, ამ არჩევნების შედეგი არცთუ ისე მნიშვნელოვანია, რადგან ყარაბაღის მომავალი ყველაზე ნაკლებად სწორედ მის ხელისუფლებაზე არის დამოკიდებული.

მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა შორის შვიდი რუსია

ფრანგულმა ჟურნალმა "ნუველ ეკონომიკმა" რუსული ბიზნესის შვიდი წარმომადგენელი – მიხაილ ხოდორკოვსკი, რომან აბრამოვიჩი, მიხაილ ფრიდმანი, ვლადიმირ პოტანინი, ვლადიმირ ბოგდანოვი, ვაგიტ ალეკპეროვი და ოლეგ დერიპასკა მსოფლიოს 500 უმდიდრეს ადამიანთა შორის დაასახელა.

დასავლელ ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნულ სიაში რუსი ბიზნესმენების გამოჩენა მიუთითებს მსოფლიოს მზარდ ინტერესზე რუსეთის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების მიმართ.

ფრანგული გამოცემის რეიტინგი ემთხვევა ამერიკული ჟურნალის, "ფორბსის" სიას, რომლის მიხედვითაც რუსეთის ყველაზე მდიდარ ადამიანად დასახელებულ მიხაილ ხოდორკოვსკის მსოფლიოს უმდიდრეს პიროვნებათა 500-ეულში 101-ე პოზიცია უკავია. ხოდორკოვსკის მცირედით ჩამორჩება რუსეთში ცნობილი ბიზნესმენი რომან აბრამოვიჩი, რომელსაც ამჟამად ჩუკოტკის გუბერნატორის პოსტი უკავია. მისი პირადი ქონება სამი მილიარდი დოლარია. მესამე პოზიციაზე გავიდა "ალფა ჯგუფის" კონსორციუმის ხელმძღვანელი, მიხაილ ფრიდმანი (2,2 მილიარდი დოლარი). შემდეგ მოდიან ჰოლდინგური კომპანია "ინტერროსის" პრეზიდენტი ვლადიმირ პოტანინი (1,8 მილიარდი დოლარი), "სურგუთნეფტეგაზის" გენერალური დირექტორი ვლადიმირ ბოგდანოვი (1,6 მილიარდი დოლარი) და სანავთობო კომპანია "ლუკოილის" გამგეობის თავმჯდომარე ვაგიტ ალეკპეროვი. რუსეთის ბიზნესმენთა "საუკეთესო შვიდეულში" ასევე შედის კომპანია "რუსეთის ალუმინის" ხელმძღვანელი, ოლეგ დერიპასკა.

"ნუველ ეკონომიკის" რეიტინგით, მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ადამიანად კვლავ ამერიკული კორპორაცია "მაიკროსოფტის" პრეზიდენტი ბილ გეიტსი დასახელდა. მისი ქონება 52,8 მილიარდი დოლარია. მასზე თითქმის ორჯერ ნაკლები ქონება აქვთ ყველაზე მდიდარ ევროპელებს - კარლ და თეო ალბრეხტებს, რომლებიც ვაჭრობით არიან დაკავებულნი. მათი ქონება 26,8 მილიარდი დოლარია. ყველაზე მდიდარი აზიელი კი აღმოჩნდა საუდელი პრინცი ვალიდ ალ საუდი, რომლის ქონებაც 20 მილიარდი დოლარია. ("ენ-ტე-ვე".რუ)

ორმაგი ლიდერობის ხაფანგი

პირველი გვერდიდან

საქართველოში, როგორც სანახევრო დემოკრატიის ქვეყანაში, პარტიულ და სახელისუფლო ლიდერს შორის არსებითი განსხვავებაა. ვინც ამ ფაქტს უგულებელყოფს, შესაბამის შედეგსაც მოიმკის.

■ ■ ■

პიროვნება **პარტიული ლიდერი** ხდება იმ შემთხვევაში, თუკი მას უკვე არსებული ჯგუფებისგან განსხვავებული პოლიტიკური ინტერესები აქვს და მის ხედვას საზოგადოებაში საკმარისი მომხრე ჰყავს. მიხეილ სააკაშვილმა ნაციონალური მოძრაობა მაშინ ჩამოაყალიბა, როდესაც მისი პოლიტიკური ინტერესები და ხედვა აღარ დაემთხვა მოქალაქეთა კავშირის ლიდერების სტრატეგიას. იგივე მოხდა ზურაბ ჟვანიას შემთხვევაშიც და უფრო ადრეც, როდესაც მრეწველების ან ახალი მემარჯვენეების პარტია შეიქმნა. ეს ბუნებრივი პროცესია: პარტიულ ლიდერს უსათუოდ სჭირდება ორიგინალური პოლიტიკური ხედვა და სხვებისგან გამორჩეული, ინდივიდუალური სახე.

სახელისუფლო ლიდერი კი ესაა თუ ის პიროვნება შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისი ინტერესები არათუ განსხვავდება, არამედ, პირიქით, ზედმიწევნით ემთხვევა გარემომცველი ჯგუფების ინტერესებს. მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალიზმი სწორედ რომ ხელს უშლის სახელისუფლო ლიდერს საქართველოში. ამიტომაც არის ჩვენი ქვეყნის მთავრობა ერთგვაროვანი და უინტერესო სახეების კრებული. ის ადამიანებიც კი, რომლებიც გამინისტრებამდე მკაფიო კოლორიტით და ინდივიდუალობით გამოირჩეოდნენ, გამინისტრების შემდეგ უმტკივნეულოდ ჩაიკარგნენ მთავრობის ნაცრისფერ ნისლში.

■ ■ ■

პარტიული ლიდერისთვის აუცილებელია საზოგადოების წევრთა გამაერთიანებელი უნარი. კარგი პარტიული ლიდერი, თავისი ბუნებით, შემკრები და შემდუღაბებელია. ამ მხრივ საინტერესო ფენომენია შალვა ნათელაშვილი. არჩევნებიდან არჩევნებამდე იგი ვერასოდეს ახერხებს მიღწეულის შენარჩუნებას. ამის მიუხედავად, შრომის პარტიის ლიდერი სხვებზე უკეთესად გრძნობს საზოგადოების მოლოდინებს და არჩევნების წინ არასოდეს უჭირს უბრალო ადამიანებთან საუბარი, მათი დარწმუნება და შემოკრება თავისი იდეების ირგვლივ. შემკრები უნარების თვალსაზრისით, წლების განმავლობაში, ტოლი არ ჰყავდა ედუარდ შევარდნაძეს. ღია თუ ფარული ფორმით, სწორედ მის ირგვლივ იყრიდა თავს პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილიც და საზოგადოებაც; ჩინოვნიკები ხომ ყოველთვის მას შეჰყურებდნენ თვალებში. ეს ვითარება არ იყო გამოწვეული მხოლოდ ქვეყნის პირველი პირის სტატუსით – საპირისპირო მაგალითად შეგვიძლია გავიხსენოთ, ზვიად გამსახურდია, რომელსაც, პრეზიდენტობის მიუხედავად, შემკრები უნარები სრულებით არ აღმოაჩნდა. ედუარდ შევარდნაძეს სერიოზული პრობლემები სწორედ მაშინ გაუჩნდა, როდესაც მან პოლიტიკური პარტნიორების დაკარგვა დაიწყო.

როგორია ამ მხრივ **სახელისუფლო ლიდერი**?

იგი, პარტიული ლიდერისგან განსხვავებით, კი არ შემოიკრებს, არამედ, სეგმენტებად ხლეჩს მისდამი დაქვემდებარებულ სივრცეს და ამ სივრცის შემადგენელ კომპონენტებს. ლიდერ-ხელისუფალს ყოველთვის ეშინია გაერთიანების სულისკვეთების, რადგან სწორედ ხელქვეითთა გაერთიანებაში ხედავს საფრთხეს საკუთარი ძალაუფლებისთვის. ცნობილი პრინციპი: "დაყავი და იბატონე" მხოლოდ იმ სისტემაში "მუშაობს", სადაც ვერტიკალური დაქვემდებარება და სამსახურეობრივი იერარქიაა.

■ ■ ■

პარტიული ლიდერისთვის აუცილებელია ხალხთან, საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტი. კარგი პარტიული ლიდერი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის "თავისიანია"; მისთვის გასაგებ ენაზე საუბრობს; მის ტკივილებს ეხმიანება; ლამის, ოჯახის წევრია. პარტიულ ლიდერს, ნებსით თუ უნებლიეთ, წარმატებული საქმიანობისთვის მუდმივად უხდება ფიქრი საზოგადოების ინტერესებზე; შესაბამისად, საზოგადოებაც მას ნდობით პასუხობს.

ლიდერი-ხელისუფალი კი საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტს, შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველთვის თავს არიდებს. ის უზარმაზარი სასახლეები და, განსაკუთრებით, სასახლეების ირგვლივ შემოვლებული მაღალი გალავნები, რომელთა მიღმაც ჩვენი სახელისუფლო ლიდერები ცხოვრობენ, მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას კიდეც შეესაბამება და კიდეც ასახავს. ხალხისგან გამიჯვნის მოთხოვნილება ბუნებრივად გამომდინარეობს სახელისუფლო ლიდერის საქმიანობიდან. ლიდერი-ხელისუფალი, ჩვენს ქვეყანაში, წარმატებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირად ინტერესებს საზოგადოების ინტერესზე მაღლა აყენებს. პირიქით რომ იყოს, კორუფცია ქვეყნისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემად არ გადაიქცეოდა და ხელისუფლება დანარჩენი საზოგადოებისგან ასე მკაფიოდ გამიჯნული არ აღმოჩნდებოდა. ბუნებრივია, ლიდერი-ხელისუფალი ცნობიერად ან არაცნობიერად განიცდის დისკომფორტს იმ ადამიანებთან ურთიერთობისას, რომელთა გაჭირვებას ეფუძნება პირადად მისი და მისი ოჯახის კეთილდღეობა. შესაბამისად, ლიდერი-ხელისუფალი, პოლიტიკური ლიდერისგან განსხვავებით, უბრალო ადამიანისთვის მტრის ხატად აღიქმება. აქედან გამომდინარეობს სრული უნდობლობაც სახელისუფლო ლიდერების მიმართ.

რამდენადაც **პარტიული ლიდერისა** და ხალხის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, იმდენადვე **სახელისუფლო ლიდერისა** და ხალხის ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდება. ამიტომ, პირველ შემთხვევაში ურთიერთობა ორმხრივი ნდობის ნიშნით მიმდინარეობს, მეორე შემთხვევაში კი – ორმხრივი უნდობლობის ნიშნით.

■ ■ ■

პარტიული ლიდერი, თავისი არსით, სიახლისკენ, რეფორმაციისკენ მიდრეკილი ადამიანია. იგი საზოგადოებას მოუწოდებს არსებული რეალობის შეცვლისკენ, გარდაქმნისკენ. პარტიული ლიდერი ყოველთვის კრიტიკულია მისი თანამედროვე სინამდვილის მიმართ და ვითარების გაუმჯობესების გზებს სახავს.

სახელისუფლო ლიდერი, პირიქით, თავისი არსით კონსერვატორია – ძველის შენარჩუნებისთვის ზრუნავს. ის მინისტრებიც კი, რომლებსაც ხანდახან წამოსცდებათ, რომ მზად არიან დარგის რეფორმირებისთვის, სინამდვილეში, ყოველგვარ ცვლილებებს ეწინააღმდეგებიან. საბჭოთა სისტემა ხელისუფლების მაღალი ეშელონის კეთილდღეობას ემსახურებოდა. ამ სისტემის ნგრევა და გარდაქმნა კი თავისთავად გულისხმობს ძალაუფლების გადანაწილებას, საქმიანობის მოქცევას კანონმდებლობის ჩარჩოში და, შესაბამისად, გავლენისა და კეთილდღეობის კლებას. ამიტომ, სახელისუფლო ლიდერები საკუთარი ნებით არასოდეს თანხმდებიან რეალურ ცვლილებებს და მხოლოდ არსებულის შენარჩუნებისთვის (ან შელამაზებისთვის) იბრძვიან.

■ ■ ■

პარტიულ ლიდერს, წესით და რიგით, უნდა ახასიათებდეს მუდმივი სიფხიზლე მისი საქმიანობის შედეგის მიმართ. განსჯა და ანალიზი პარტიული ლიდერის აზროვნების წესია; ისევე, როგორც დისკუსია, დაეჭვება და კრიტიკა პარტიული ცხოვრების მიღებული ფორმაა. პარტიული ლიდერის კარიერა, ძირითადად, დამოკიდებულია მის მიერ გადადგმული ნაბიჯების მიზანშეწონილობაზე, ამიტომ, შიდა პარტიული პლურალიზმი და კრიტიკული სულისკვეთება მხოლოდ და მხოლოდ ხელს უწყობს პარტიული ლიდერის წარმატებებს.

სულ სხვა რეალობაში საქმიანობს **სახელისუფლო ლიდერი.** მისთვის კრიტიკა დამარცხების ტოლფასია. გადამწყვეტია "სავარძლის ავტორიტეტი". ვინც უფრო აღმატებულია სახელისუფლო ვერტიკალში, სმართლეც მის მხარესაა და სხვებზე ჭკვიანიც სწორედ ის არის. მისი გადაწყვეტილება დისკუსიას აღარ ექვემდებარება, ნებისმიერი შედეგის მიუხედავად. ეს რეალობა შესანიშნავად აისახება მთავრობის სხდომებზე. თითოეული სხდომა წარმოადგენს მაამებლურ ინფორმაციას ქვემოდან ზემოთ და დასაშვების ფარგლებში კრიტიკას ზემოდან ქვემოთ. ამიტომაც, პარტიულ ლიდერებს ხშირად ეჩვენებათ, რომ სახელისუფლო ლიდერებს რეალობის გრძნობა დაკარგული აქვთ.

■ ■ ■

პარტიული ლიდერი, თავისი საქმიანობის არსიდან გამომდინარე, ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს. მის საჯარო გამოსვლებს აზრის სიცხადე და სიმწვავე უნდა ახასიათებდეს. ასეც არის - კარგი პარტიული ლიდერის ცხოვრების წესიც და მეტყველების სტილიც საზოგადოებას მის მიმართ ნდობით განაწყობს. რაც მთავარია, პოლიტიკური ლიდერის საჯარო გამოსვლებში ყოველთვის იგრძნობა მსმენელი - ადამიანი, ვისთვისაც იგი საუბრობს.

ლიდერი-ხელისუფალი კი, როგორც წესი, თავს ყველაზე დაცულად საკუთარ კაბინეტში გრძნობს. მისი საჯარო გამოსვლები ვრცელი, ბუნდოვანი და მოსაწყენია. ამის საუკეთესო დასტური ისევ მთავრობის სხდომაა. განსაკუთრებით უინტერესოა ჩვენი მინისტრების მოხსენებები კორუფციის თემაზე. ნებისმიერი მოხსენება კეთდება მოვალეობის მოხდის მიზნით და არც არასოდეს ჩანს ადრესატი, კონკრეტული ადამიანი – ვისზე ან ვისთვის საუბრობს მინისტრი. უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებს შორის ერთადერთ გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ პრეზიდენტი, რომლის საჯარო გამოსვლებში გამოცდილი ყური ადვილად პოულობს ინფორმაციულ ბირთვებს.

■ ■ ■

პარტიულ და სახელისუფლო ლიდერებს შორის ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა არსებითი განსხვავებები, ცხადია, პოლიტიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება. მთავარი ისაა, რომ **პარტიული ლიდერის** ავტორიტეტი სრულად არის დამოკიდებული მის პირად თვისებებზე, ინტელექტუალურ და საქმიან უნარებზე. **სახელისუფლო ლიდერის** ავტორიტეტი კი ეფუძნება ძალაუფლებას და გავლენას, ადგილს იერარქიაში, მის მიერ დაკავებული პოსტის ფუნქციას.

შესაბამისად, **პარტიის ლიდერის** მდომარეობას ადამიანი მოიპოვებს პირადად და კარგავს საკუთარი შეცდომების გამო. **სახელისუფლო ლიდერობა** კი ადამიანს შეიძლება უბოძონ ან ჩამოართვან, ვითარების მიხედვით. ამიტომ, ლიდერი-ხელისუფალი უფრო მეტად სხვაზე, ზემდგომზეა დამოკიდებული, ვიდრე საკუთარ თავზე.

ამიტომაც არის, რომ **პარტიული ლიდერის** ამოცანები და ქცევის ფილოსოფია მთლიანად განსხვავდება და უპირისპირდება **სახელისუფლო ლიდერის** ამოცანებსა და ქცევის ფილოსოფიას.

ასლან აბაშიძე

ავთანდილ ჯორბენაძე

ზურაბ ჟვანია

მიხეილ სააკაშვილი

■ ■ ■

საქართველოში, თითქმის ათი წლის განმავლობაში, პარტიული განვითარების პროცესი, ძირითადად, შეჩერებული იყო. ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზე ჩამოყალიბებული პარტიები გზადაგზა დაკნინდნენ, ახალი პარტიების ჩამოყალიბება კი მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყო. ამ რეალობას განაპირობებდა მოქალაქეთა კავშირის მიერ ხელისუფლების მონოპოლიზება და ამისთვის კანონიერი საფუძვლების შექმნა, მაგალითად, საარჩევნო კანონმდებლობისა და ბარიერის მუდმივი ცვლა, საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების და საქმიანობის წესი. ამასვე განაპირობებდა პოლიციის და სახელისუფლო ინფრასტრუქტურის როლი არჩევნების შედეგების განსაზღვრაში. ამ პროცესის კვალდაკვალ, საქართველო წლების განმავლობაში დარჩა ახალი პარტიული ლიდერების გარეშე. სამაგიეროდ, ყველა პიროვნება, ვინც კი სახელმწიფოებრივ ასპარეზზე გამოჩნდა, ლიდერად ხელისუფლების წიაღში ჩამოყალიბდა.

საფიქრებელია, რომ ედუარდ შევარდნაძემ ეს რეალობა სრულიად გააზრებულად შექმნა. ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტისთვის მეტისმეტად ხელსაყრელი იყო ის ვითარება, როცა ყველა ლიდერი მის თვალწინ, მისი კეთილი ნების საფუძველზე იბადებოდა. შესაბამისად, მის ხელში იყო ლიდერების შემდგომი ბედიც: მათი გაძლიერება ან დასუსტება. საზოგადოება ამ რეალობას კარგად აცნობიერებდა და ხშირად გაისმოდა შეკითხვა: ვინ შექმნა მარგიანი, ფაცაცია, კერვალიშვილი, ნადიბაიძე, ზუბიტაშვილი, კვირაია, ინჯია, გულუა, თარგამაძე?.. რასაკვირველია, თითოეული მათგანისგან ლიდერი-ხელისუფალი თავად ედუარდ შევარდნაძემ შექმნა. შესაბამისად, თითოეული მათგანის კარიერა უშუალოდ იყო დამოკიდებული შევარდნაძის პოლიტიკურ ნებაზე და, ამ ნების შესაბამისად, ადრე თუ გვიან, თითოეულ მათგანს მოუხდა პოსტის დატოვება. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ თითოეული მათგანი ენდობოდა პრეზიდენტს და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ სწორედ შევარდნაძეა მისი ხელშეუხებლობის გარანტი. მეორე მხრივ, ედუარდ შევარდნაძემ სახელისუფლო ლიდერებად შექმნა და გააძლიერა როგორც ჟვანია, ასევე - სააკაშვილი.

ლიდერების ასეთი იძულებითი, იზოლირებული "სამჭედლოს" მოწყობა – სახელისუფლო სივრცის სახით – სრულიად ხელოვნური იყო. პროცესი წლების განმავლობაში გაგრძელდა, მაგრამ, ბუნებრივი შედეგით დასრულდა. ბოლოს და ბოლოს, საქართველოში დაიწყო პარტიული და სახელისუფლო ლიდერების გამიჯვნა. ის ადამიანები, რომლებმაც უპირობოდ აღიარეს ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი, ხელისუფლებაში დარჩნენ და კაბინეტური ძალაუფლებით დაკმაყოფილდნენ. ხოლო ის ადამიანები, რომლებსაც წლების განმავლობაში დაუგროვდათ უკმაყოფილება შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების მიმართ, გაემიჯნენ პრეზიდენტს, რათა საზოგადოებისთვის ქვეყნის განვითარების ალტერნატიული გზები შეეთავაზებინათ.

■ ■ ■

პარტიულ და სახელისუფლო ლიდერებად მკაფიო დაყოფა ქართულ სინამდვილეში ახალი ტენდენციაა. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში როგორც პარტიული, ისე სახელისუფლო ლიდერებისთვის "თამაშის წესები" საერთოა. ამიტომ, ასეთ ქვეყნებში წარმატებული პარტიული ლიდერები ბუნებრივად ყალიბდებიან სახელისუფლო ლიდერებად. საქართველოში კი, წარსულის ბევრი წარუმატებლობა, შესაძლოა, იმითაც ავხსნათ, რომ წლების განმავლობაში, პარტიული და სახელისუფლო ლიდერები ხელოვნურად იყვნენ ერთ სივრცეში ჩაკეტილი და ერთმანეთში აღრეული.

რეალური პარტიული ლიდერობა დღეს ნიშნავს ედუარდ შევარდნაძის გავლენის სივრციდან გამოსვლას და თავისუფალი განვითარების პერსპექტივას. სახელისუფლო ლიდერობა კი ნიშნავს შევარდნაძის გავლენის სივრცეში დარჩენას და ამ სივრცის გაძლიერებას. ეს ორი სივრცე ერთმანეთისგან პრინციპულად განსხვავდება იმ ნიშნებით, რომლებიც სტატიის დასაწყისში ჩამოვთვალეთ. ამიტომ, ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებს, დღევანდელ საქართველოში ერთდროულად პარტიული ლიდერიც იყოს და ლიდერი-ხელისუფალიც. ეს წინააღმდეგობა პირდაპირ არის დაკავშირებული ქვეყნის მართვის ტექნოლოგიასთანაც და კანონმდებლობის სულისკვეთებასთანაც. უფრო მარტივად თუ ვიტყვით – ედუარდ შევარდნაძის ხელში კანონიერი და რეალური ძალაუფლების სრული თავმოყრა თავისთავად გულისხმობს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც პრეტენზიას განაცხადებს ძალაუფლებაზე, ან შევარდნაძის ერთგული უნდა იყოს, ან - მისი დაუძინებელი მტერი. ეს ქართული პოლიტიკის რეალობაა.

ამ რეალობიდან გამომდინარე, საქართველოში შეუძლებელია, ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად პარტიული ლიდერიც იყოს და ლიდერი-ხელისუფალიც. ეს ეხება როგორც ავთანდილ ჯორბენაძეს, ისე ასლან აბაშიძეს და ყველა სხვას, ვინც უახლოეს წლებში მოინდომებს ორმაგი ლიდერობის ტვირთის ზიდვას. ორმაგი ლიდერობა პოლიტიკური ილუზიაა და, რეალური პოლიტიკის პირისპირ, ამ ილუზიის მატარებელი ადამიანი გარდუვალი მარცხისთვის არის განწირული.

■ ■ ■

განმარტებას მოითხოვს ის საკითხიც, თუ რისთვის სჭირდება რომელიმე პოლიტიკურ ფიგურას ორმაგი ლიდერის სტატუსი, რომლის რეალიზებაც, ჩვენს სინამდვილეში, გამორიცხულია. საქმე ისევ შევარდნაძის შემდგომ პერიოდს ეხება. ქვეყნის მომავალ პრეზიდენტს, არჩევნებში გამარჯვებისთვის, ცხადია, მოსახლეობის მხარდაჭერა სჭირდება. ამისთვის კი საუკეთესო და გამოცდილი გზა პარტიის შექმნაა. მეორე მხრივ, პრეზიდენტობის ნებისმიერი კანდიდატი ისურვებს სახელისუფლო ბერკეტების ამუშავებას მის სასარგებლოდ – ესეც კარგად გამოცდილი და წარმატებული გზაა. ორივე ბერკეტის ფლობას კი სწორედ ორმაგი ლიდერის სტატუსი სჭირდება.

სინამდვილეში, ორმაგი ლიდერობა შეუძლებელია და, ბოლოს და ბოლოს, მოიგებს ის, ვინც პოლიტიკურ ილუზიებს არ გამოედევნება და სწორ ნაბიჯებს გადადგამს. რომელი ნაბიჯები აღმოჩნდება სწორი – ბევრ სამმავლო გარემოებაზეა დამოკიდებული. ოღონდ, პარტიული და სახელისუფლო ლიდერობის შეთავსების მცდელობა რომ არასწორია – ამას პოლიტიკური ლოგიკა დღესვე მკაფიოდ ადასტურებს. ასლან აბაშიძეს თავისი სახელისუფლო ამბიციები, კარგა ხანია, დაკმაყოფილებული აქვს და მისი პარტიული ლიდერობა ხაზგასმულად ხელოვნურია; ავთანდილ ჯორბენაძე კი, რომელიც ერთდროულად სახელმწიფო მინისტრიც არის და პარტიული ლიდერიც, ორმაგი ლიდერობის წნეხში სანგებოდ არის მოცქეული და, შესაბამისად, განწირულიც.

ორმაგი ლიდერობა პოლიტიკურ "ხაფანგს" ჰგავს. მაგრამ პრობლემა ამით არ სრულდება.

ერთი მხრივ, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი ვერ ექნება ვერც ერთ პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც მაღალი სახელისუფლო პოსტიდან ჩამოუსვლელად დააპირებს პრეზიდენტობას. მეორე მხრივ, რეალური პარტიული ლიდერების წინააღმდეგ უკვე სერიოზულად მუშაობს სახელმწიფო მანქანა და მათი პერსპექტივის შეფასებაც შეუძლებელი ხდება. როგორ განვითარდება და რითი დასრულდება პარტიული ლიდერებისა და ლიდერ-ხელისუფალთა დაპირისპირება – სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს სახელმწიფოს სახეს უახლოესი ათწლეულის მანძილზე.

ჩემს ქვეყანაში პოლიტიკოსთა მასკარადია

ხათუნა კალმახელიძე

ნიუ-იორკის სითი-უნივერსიტეტის ჰანტერ კოლეჯის სტუდენტი

1993 წლის ცნობილი მოვლენების დროს მომიწია დანგრეული თბილისის დატოვება და საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა. მას შემდეგ ყოველ წელს ჩამოვდივარ იმ იმედით, რომ დამხვდება რაიმე ახალი და უკეთესი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ ძირეული ცვლილებები არ ჩანს.

რადგანაც ამ ხნის განმავლობაში უცხოეთში, ნამდვილ დემოკრატიულ ქვეყნებში მომიწია ცხოვრება, თავს უფლებას ვაძლევ, შევნიშნო ჩვენი ქვეყნის ყალბი დემოკრატია. ფეშენებელური კერძო სახლების, რესტორნების, კაზინოებისა და შადრევნების მშენებლობა ყველა ქვეყნისთვის მოსაწონი და მისასალმებელია, მაგრამ ჩვენთან, გაღატაკებული, დაბეჩავებული, უსიხარულო მასის ფონზე, ეს სილის გაწვნის ტოლფასია! ეს ურბანისტიკის გროტესკია!

სამარცხვინოა ყოველი ქუჩის ბოლოს უბაზისო ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების არსებობა, მხოლოდ ფასიანი დიპლომის მისაღებად. საეჭვოა ჩვენი მომავალი, ამ გზით მოპოვებული განათლებით. იმათგან, ვინც უცხოეთში წავიდა სასწავლებლად, თითქმის არავინ ბრუნდება, რადგანაც საკუთარ სამშობლოში მათი პიროვნული რეალიზაციისათვის ნიადაგი ძალიან მყიფეა. პერსპექტიული, ნიჭიერი სპეციალისტი, გავლენიანი ნაცნობის გარეშე, აქ ადგილს ვერ პოულობს.

განსაკუთრებით თვალში საცემია ჩვენს "დემოკრატიულ" ქვეყანაში საშუალო ფენის თითქმის არარსებობა და ეს სურათი უფრო მძიმდება იმ უამრავი დახმარების ფონზე, რასაც საქართველო იღებდა და იღებს უცხოეთიდან.

ჩემთვის ძალიან საწყენია, რომ საქართველო უცხოეთში მოიხსენიება კორუმპირებულ, საშიშ, არასაიმედო ქვეყნად, სადაც უცხოელებს იოლად იტაცებენ ან კლავენ. ადამიანების გაუჩინარებამ და მკვლელობებმა, წლობით გაუხსნელმა საქმეებმა და სამართალდამცავი ორგანოების უუნარობამ, ბოლო მოუღო საქართველოს ავტორიტეტს დემოკრატიული მსოფლიოს თვალში.

ჩემთვის, ისევე როგორც ბევრი ქართველისთვის, დამღლელია საქართველოს პოლიტიზებული აურა. ორი ადამიანის შეხვედრა პოლიტიკური დებატებით მთავრდება.

ქვეყანაში არსებული უთვალავი პარტია ერთმანეთის ლანძღვა-გინებით უფრაა დაკავებული, ვიდრე ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვით. მოსახლეობა დაბნეულია, ვის ენდოს? რომელ პარტიას ანდოს ქვეყნისა და საკუთარი თავის ბედი? მითუმეტეს, ადგილობრივი არჩევნების შედეგები ჯერაც არ ჩანს. ყველაფერი ყალბდება: არჩევნები, იმედები, გრძნობები, სახეები. ჩემს ქვეყანაში პოლიტიკოსთა მასკარადია!

ამ ყველაფრის შემხედვარეს გული მტკივა, მაგრამ მომავლის დიდი იმედი მაქვს. ხალხი ბრძენია და მჯერა, რომ მოვლენ ისინი, რომლებიც პირველ რიგში იფიქრებენ არა საკუთარ კეთილდღეობაზე, არამედ საკუთარ ხალხზე და სამშობლოზე.

"ავტოგარბენით დავცხოთ უგზაობას და ზოზინს"

ავტოგარბენი დაიწყო

იური ლოგოდინის ფოტოები

ანა კორძაია-სამადაშვილი

60 წლის წინათ ლენდლიზის ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოში სამხედრო ჯიპების პირველმა ქარავანმა ჩაიარა. ხის ყუთებში შეფუთული ვილისები ირანში ზღვის ნაპირზევე ეწყობოდა და შემდეგ აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით ფრონტს მიეწოდებოდა.

ჩვენი ავტომსვლელობის წევრებს - "ვილის ოვერლენდის" კლუბის რაინდებს თავდაპირველად სწორედ ამ გზის გავლა უნდოდათ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ამჟამად ეს შეუძლებელია; თავად წარმოიდგინეთ, რა ბედი ეწევათ ირანში ამერიკულ სამხედრო ჯიპებს და მათ ეკიპაჟს, ამიტომ საქართველოთი შემოიფარგლნენ და გუშინ, 11 საათზე რესპუბლიკის მოედნიდან დაიძრა ავტოქარავანი, 11 ჯიპი - სწორედ ის მანქანები, რომლებმაც აქ 1942 წელს გაიარეს.

უჩვეულო სანახაობამ მაშინათვე მიიპყრო გამვლელთა ყურადღება: მანქანებზე დროშები ფრიალებს, პირველ მანქანაზე, რომელიც ნიკოლოზ ჩიგოგიძეს ეკუთვნის, საქართველოს დროშაა აღმართული, მას მიყვება მერაბ გუჯაბიძე, რომელსაც ქარავნის წევრები "ჩვენ მაკ არტურს" ეძახიან. ის ამერიკულ სამხედრო ფორმაშია გამოწყობილი, მანქანაზეც ამერიკის შეერთებული შტატების დროშა დაუმაგრებია. დანარჩენი დროშები თეთრია, "რუსთავი-2"-ის, "ჯორჯია ონლაინის" და "24 საათის" ემბლემებით. ეს ემბლემები მონაწილეთა მაისურებსაც ამშვენებს. თეთრი დროშები თითქოს ხაზს უსვამს იმას, რომ სამხედრო დანიშნულების მანქანები მშვიდობიან მსვლელობას მართავენ: Эх прокачу!

სხვა ყველაფერი ისეა, როგორც სამოცი წლის წინათ: მანქანები, გლენ მილერის ორკესტრი, სიგარეტიც კი – Lucky Strike. პირველი გაჩერება მცხეთაა, ფონი - სამთავრო. გამვლელები ძალიან ერთობიან, მანქანებს აჩერებენ და დაუზარელად იკვლევენ, რა ამბავია. გორში სულ სხვა ფონი გვქონდა - სტალინის ძეგლი; გამოცხადდნენ ჟურნალისტები, ტელეკორესპონდენტები, ალბათ მშვენიერი მასალა ექნებათ: 40-იანი წლების მანქანები, მუსიკა და "გენერალი", რომელიც სიამოვნებით ჰყვება ყველაფერს, რაც მის საყვარელ ჯიპებთანაა დაკავშირებული. თუ უცხოურ დელეგაციებს შეჩვეულმა გორელებმა თავიანთი გრძნობები შედარებით თავშეკავებულად გამოხატეს, ხაშურში ქარავანმა არნახული ემოციები გამოიწვია. აქ ცოტა ხანს შევჩერდით. ერთ-ერთი "ჯიპმენის" თქმით, მანქანები მაინც მოხუცები არიან, დასცხათ და დასვენება უნდათო. საერთოდ, "მოხუცებისადმი" განსაკუთრებული დამოკიდებულება ყველაფერში ჩანს. მაგალითად, ერთ-ერთ მანქანას მისი მფლობელები "მამას ბარბის" უწოდებენ. თუმცა, ნაომარი, დიდი ბიოგრაფიის მქონე ჯიპი არაფრით მოგაგონებთ ქერა, ამერიკელ ლამაზმან თოჯინას.

ჩვენი თანამემამულეების რეაქცია, თავისთავად, საინტერესოა. ცხადია, ბავშვები ძალიან ხარობენ, ქალები აშკარად უნდობლობით გვაყოლებენ თვალს, კეთილგანწყობილი მამაკაცები ქარავნის წევრებს უყურებენ - ვისა ჰყავს კიდევ მეზობელ სოფელში ასეთივე მანქანა?!

მამაკაცების დამოკიდებულება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მანქანა მაინც კაცების სათამაშოა, დიდი სიყვარულის საგანი, მაშინ როცა ქალებისათვის უბრალოდ გადაადგილების საშუალებაა. ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ჯიპები ყველაზე ლამაზები არიან, მათ გვერდზე გაკრიალებული "მერსედესები" და BMW-ები თითქოს აგებენ. მათი პატრონები შურნარევ მზერას გვაყოლებენ და მფლობელებს პატარა ჯიპების ფასებს ეკითხებიან, მაგრამ "ვილის ოვერლენდის" რაინდებისათვის ეს კითხვა არაფერს ნიშნავს: შვილები და ჯიპები არ იყიდებიანო.

გარბენის მონაწილენი ღამეს ქუთაისში გაატარებენ.

"კატის კნავილი" - ბოგდანოვიჩის ახალი თავშესაქცევი კინოსურათი

"კატის კნავილი" (The Cat`s Meow) – ეს ფილმი, პირველ რიგში, თავშესაქცევი სიუჟეტით იპყრობს მაყურებლის ყურადღებას. პოპულარული დეტექტივი ცნობილ კინომოღვაწეთა ცხოვრებაზე გვიამბობს. ფილმში მოქმედება დახურულ სივრცეში, იახტაზე ვითარდება. ის ვერც ლამაზი პეიზაჟებით დაიკვეხნის და ვერც მასობრივი სცენებით.

1924 წლის ნოემბერში ამერიკული მასმედიის ყველა გავლენიანი საშუალების მფლობელისა და მულტიმილიონერის, უილიამ რენდოლფ ჰერსტის იახტაზე მხიარული საზოგადოება შეიკრიბა. მიწვეულთა შორის იყვნენ: იმ დროისათვის უკვე უდიდესი ჩარლი ჩაპლინი; კინემატოგრაფიის პიონერი, პროდიუსერი ტომას ინსი, რომელსაც სერიოზული ფინანსური პრობლემები აწუხებდა; ტაბლოიდების საჭორაო განყოფილებების წამყვანი ჟურნალისტი, ლუელა პარსონსი და ექსცენტრული რომანისტი, ეკინორ გლინი. მათ გარდა, გიგანტური იახტით მოგზაურობდნენ: ტომას ინსის საყვარელი მარგარეტ ლივინგსტონი და ჰერსტის მეგობარი ქალბატონი, კინოს ამომავალი ვარსკვლავი, მერიონ დევისი. მგონი, ინტრიგებისთვის უკეთეს საზოგადოებას ვერც ინატრებ - შამპანურის მდინარეებით მორწყული იახტა, სექსის მორევი და კანაფის ბურუსი...

გემბანზე შეკრებილი საზოგადოების თითოეულ წევრს ერთი კონკრეტული მიზანი ამოძრავებდა: როგორმე რამეს გამორჩენოდა მილიონერ მასპინძელს. მაგალითად, ტომ ინსს, რომლის ღვაწლსაც, კინემატოგრაფიაში რეჟისურის განვითარებისთვის, გრიფიტის დამსახურებებს ადარებენ, სურდა ჰერსტის "კოსმოპოლიტენ ფიქჩერზის" დასავლეთ სანაპიროების კომპანიებთან გაერთიანება. გამორჩენას ელოდა "ყვითელი" ჟურნალისტიც – მას მუშაობის დაწყება სურდა მაგნატის გამომცემლობაში; ყველაზე მთავარი სურვილი, როგორც ყოველთვის, ყველაზე ძნელად განსახორციელებელია: ჩარლი ჩაპლინი შეყვარებულია მერიონ დევისზე და მისი მოტაცება სურს.

ჩაპლინი ისე იქცევა, როგორც ხუშტურიან, პრეტენზიულ გენიოსებს სჩვევიათ. იგი მიღებულ წესებს დემონსტრაციულად შეაქცევს ზურგს და დიასახლისს "აბამს", რითიც მილიონერი მასპინძლის ყველაზე მტკივნეულ ადგილს ეხება. იახტაზე ისეთი ინტრიგები იხლართება, რომ მკვლელობა გარდუვალია. სამიზნე ჩაპლინია, თუმცა, მსხვერპლი სულ სხვა აღმოჩნდება. დამნაშავეს, ცხადია, ვერ მიაგნებენ – მდიდრები მოახერხებენ საქმის მწვანე ქაღალდებით ჩახშობას. ასეთია ბოგდანოვიჩის ფილმის მოკლე ისტორია, რომელიც ცოტა ადრე რეჟისორმა ორსონ უელსთან ერთად განიხილა. მაშინ უდიდესი ფილმის ავტორს სცენარი არ დაუმუშავებია... საბოლოოდ კი, ბოგდანოვიჩმა შექმნა საკუთარი ფილმი, რომელსაც უამრავი პლუსი აქვს, ხარვეზი კი - თითქმის არა.

"კატის კნავილი" პიტერ ბოგდანოვიჩმა ეპოქის დიდი სიყვარულით გადაიღო. ნამუშევარი ყოველნაირად იმსახურებს მაყურებლისა და კრიტიკის აღფრთოვანებას. კრიტიკოსთა განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ფილმის მხატვართა და კოსტუმების ავტორთა ნამუშევარი; ცალკე აღნიშვნის ღირსია მსახიობთა დასი: კირსტენ დანსი, არაჰოლივუდური სილამაზის მიუხედავად, აბსოლუტური კინემატოგრაფიულობისა და მშვენიერი სამსახიობო პლასტიკის წყალობით, ზუსტად მიესადაგება 20-იან წლებს (ალბათ ამიტომაც იმსახურებს იგი სოლიდური რეჟისორებისგან მაღალ შეფასებას). ფილმში სცენის ვარსკვლავის, ედუარდ ჰერმენის მუშაობა კი თამამად შეიძლება ჩაითვალოს კინემატოგრაფიის უდიდეს თეატრალურ მიღწევად.

ჩარლი ჩაპლინის როლს, მისგან სრულიად განსხვავებული მსახიობი, ედი იზარდი ასრულებს. იზარდი არაჩვეულებრივად თამაშობს. მაყურებელი დარწმუნებულია, რომ უდიდესი კომიკოსი ცხოვრებაში სწორედ ფილმის გმირივით ხუშტურებიანი ეროტომანი იყო. მსახიობების მშვენიერი ანსამბლი და გადაღების მანერა ძველი ჰოლივუდის ფილმებს მოგაგონებთ, ოღონდ ეს ყველაფერი არანაირად არ უსვამს ხაზს ფილმის ძველმოდურობას.

განუმეორებელია მსოფლიოში საუკეთესო "სასაცილო" მსახიობი, ედუარდ ჰერმანი. ბოგდანოვიჩის ფილმზე ცნობილმა ოპერატორმა, ახალგაზრდა კინომანების საყვარელი "ამელის" ერთ-ერთმა ავტორმა, ბრუნო დელბონელმაც იმუშავა.

"კატის კნავილი" ევროპულ ფილმებს ჰგავს. პიტერ ბოგდანოვიჩმა თავის ახალ ნამუშევარში გაგვიზიარა გამოცდილება იმ ადამიანისა, ვინც მთელი ცხოვრების განმავლობაში კინოსთვის იღწვის.

გიყვართ ბრამსი... ღია ცის ქვეშ და ცეკვის თანხლებით?

ვაკის პარკში ბერძნული თანამედროვე ცეკვის მორიგი ჰუმანიტარული აქცია გაიმართა

დავით ბუხრიკიძე

რამდენიმე დღის წინ ბერძნულმა თანამედროვე ცეკვის დასმა "სხედიამ", რომელიც საქართველოს ე.წ. contemporary dance-ის გავრცელება-განათლების მიზნით კიდევ ერთხელ ეწვია, ვაკის პარკში შეკრებილებს ზაფხულის დღის რეალობა "ზაფხულის ღამის სიზმრით" სასიამოვნოდ შეუცვალა. მენდელსონის სიმფონიური სუიტით შთაგონებული ინტერნაციონალური როკვა, დასიცხულმა თბილისელებმა ეგზოტიკური დასვენების ფორმად უფრო ჩათვალეს, ვიდრე ცეკვის ხელოვნებად, მაგრამ განათლებისა და სიამოვნების უფასოდ მიღება, თანაც თბილისის მერიისა და ათენის ქართული ინსტიტუტის ხელშეწყობით, მაინც სასიამოვნოა. მითუმეტეს, რომ გასული წლისაგან განსხვავებით, წელს ბერძნულ დასს ეგზოტიკური კუბური "დანცა კონტემპორანეა დე კუვაც" შეუერთდა. როგორია ბერძნულ-კუბური ქორეოგრაფიული სინთეზის ხარისხი, ეს ცალკე განსჯის საგანია. თუმცა, ამ გაჭირვებისა და სიცხის ჟამს ჰუმანიტარულ-საბალეტო დახმარებას კბილის ნუ გავუსინჯავთ.

გუშინ ვაკის პარკში, ასე ვთქვათ, ბრამსის დღე იყო. დიდი კომპოზიტორის მეოთხე, რე-მინორული სიმფონიით შთაგონებული ანასტასია ლირა – დასის ხელმძღვანელი და დამაარსებელი – ამჯერად კონკრეტულ, ხატოვან ჟესტებზე უარს ამბობს და თერთმეტ მოცეკვავეს (რატომღაც რვა ქალი და სამი მამაკაცი) საკუთარი აბსტრაქტული და ბუნდოვანი ქორეოგრაფიის სამყაროში ეპატიჟება. პირდაპირ რომ ვთქვათ, სტანდარტული ჟესტებით მოსილი მოცეკვავენი contemporary-ის "გარდერობიდან" ნათხოვარ ჟესტებსა და ვერაფრისმთქმელ ენერგიას გვაზიარებენ, რაც განსაკუთრებული მზერის გარეშეც იკითხება.

ბერძნულ-კუბური ვაკური ცეკვების შემდეგ მთავარია, ვინმე ცნობილთან შედარების ცდუნებამ არ შეგიპყროთ და არ დაგებადოთ ასეთი უადგილო კითხვა: რატომ აღწევს ჩვენამდე თანამედროვე ქორეოგრაფია მხოლოდ ვადაგასული ან უხარისხო ჰუმანიტარული დახმარების სახით? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ ტოტალური ინფორმაციის ფონზე ტოტალურად ღატაკები ვართ? მა ფოლკლორის ღრმა ფესვები, მა სუხიშვილობა?

უმჯობესია, თავისამატკივებელ კითხვებს შევეშვათ და დავუბრუნდეთ ვაკის პარკში საღამოს აჟღერებულ ბრამსს. ოთხნაწილიანი სიმფონია შავ და თითქმის კვადრატულ საცეკვავო არენაზე ისეა განაწილებული, რომ მოცეკვავეთა უცნაური, აღმოსავლური კოსტუმების გარდა, სივრცეში მოსეირნე წყვილებს, მზესუმზირის გამყიდველებსა და ნაყინით გართულ ბავშვებს ჭვრეტთ. ვერ გეტყვით, რომ ეს უსიამოვნოა ან გამაღიზიანებელი. როცა ღია ცის ქვეშ, დასვენების პარკში "პლანერულ ბალეტს" გთავაზობენ, ეს თავისთავად ნიშნავს კანონიერ მოდუნებასა და რელაქსაციას. ხოლო როცა ბრამსის რე მინორულ სიმფონიას ბერლინის სიმფონიური ორკესტრის თანხლებითა და ოიგენ იოხუმის (და არა იოკუმი) დირიჟირობით ხმის გამაძლიერებლებით გასმენინებენ, მოცეკვავეთა უნერვო და უსიცოცხლო გარჯა საერთოდ გავიწყდება.

"სხედიასა" და ანასტასია ლირას საქართველოში ხშირი სტუმრობა და ფესტივალ "საჩუქარის" ორგანიზატორთან, ქეთი დოლიძესთან მეგობრობა იმითაც არის გამართლებული, რომ ვიღაც ნორჩი და contemporary-ით გულანთებული აუცილებლად მოინდომებს განცდილის შეფასებასა და გადამუშავებულის მიღმა საკუთარი ქორეოგრაფიის გადაფასებასაც. ეს კი ძიებისა და აღმოჩენის საფუძველი გახდება.

მერე რა, რომ პრეტენზიულობით ცნობილ ჩვენს პუბლიკას იან ფაბრის, საშა ვალცისა და უილიამ ფორსაიტის ნაცვლად მესამეხარისხოვან ევროპულ საცეკვაო კომპანიებსა და სამოყვარულო განცდებს სთავაზობენ. და როცა ინფორმაციულად გავმდიდრდებით, ივნისში მოვლენილი უცნობი ბრიტანელებისა და "სხედიას" ქორეოგრაფიული "ზაფხულის ღამის სიზმარის" გარდა, რაიმე ღირსშესანიშნავსაც გამოკრავთ ხელს. ცოდნა არა მხოლოდ გამოცდილებას ამდიდრებს, არამედ გემოვნების დახვეწასაც ხელს უწყობს.

ვაკის პარკში შეკრებილებმა ბრამსის "მეოთხე სიმფონია" ეგზოტიკური კოსტუმებისა და სიცხის თანხლებით იხილეს

იური ლოგოდინის ფოტოები

20 წლის წინათ გარდაიცვალა ჰენრი ფონდა

1982 წლის 12 აგვისტოს გარდაიცვალა ჰენრი ფონდა. კინომოყვარულებს კარგად უნდა ახსოვდეთ ამ ჰოლივუდელი ჯენტლმენის მიერ შექმნილი სახეები: ველური დასავლეთის პიონერები და პრეზიდენტი ლინკოლნი, სამართლიანობისათვის მებრძოლი შერიფები და სასტიკი მკვლელები, პიერ ბეზუხოვი და ნაფიცი მსაჯული.

მრავალი წლის განმავლობაში ჰენრი ფონდა ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობი იყო. არადა, თავად მისი თქმით, ახალგაზრდობაში მსახიობობა აზრადაც არ მოსდიოდა. ჟურნალისტიკას სწავლობდა, შემდეგ ათასგვარი საქმე სცადა, სანამ თეატრში ტექნიკურ ასისტენად მუშაობისას არ აღმოაჩინა, რომ მსახიობობა მისი მოწოდება იყო.

მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა ჰოლივუდში უმალვე შეამჩნიეს. მას საუკეთესო რეჟისორები იწვევდნენ - ფრიც ლანგი, უილიამ უაილერი და ჰენრი კინგი. მაგრამ ყველაზე წარმატებული მაინც ჯონ ფორდთან თანამშრომლობა აღმოჩნდა – ერთად რვა ფილმი შექმნეს, ერთ-ერთი იყო "მრისხანების მტევნები", რომლისთვისაც მსახიობმა თავისი პირველი ოსკარი მიიღო.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჰენრი ფონდა მოხალისედ წავიდა ომში, საზღვაო ფლოტში მსახურობდა და მამაცობისთვის მრავალი ჯილდოც მიიღო. ომის შემდეგ კი კვლავ კინოს და თეატრს დაუბრუნდა: "მისტერ რობერტსი" მისი მონაწილეობით 1600-ჯერ დაიდგა ბროდვეიზე. 1957 წელს კი მან თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა: მერვე ნაფიცი მსაჯული სიდნეი ლამეტის ფილმში "თორმეტი განრისხებული მამაკაცი", რომლისთვისაც ჰენრი ფონდას ბერლინის კინოფესტივალზე ოქროს დათვი გადასცეს.

თუმცა, მისი დამსახურება ამერიკული კინოს წინაშე მხოლოდ შესრულებული როლებით არ განისახღვრება: ის ხომ არანაკლებ პოპულარული მსახიობების - ჯეინ და პიტერ ფონდას მამაა.

ოსკარი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკელი ხელოვანების, პოლიტიკოსების და მეწარმეების სურვილის თანახმად, მომავალ წელს "ოსკარის" ჯილდოების გადაცემის ცერემონია, ნაწილობრივ მაინც, ნიუ იორკში უნდა ჩატარდეს. New York Times მიიჩნევს, რომ ამ გზით 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ქალაქის კულტურული და ეკონომიკური აღორძინება მოხდება. თარიღად 2003 წლის 23 მარტს ასახელებენ: "გვინდა დემონსტრაციულად გამოვაცხადოთ, რომ ცხოვრება გრძელდება, ნიუ-იორკი კი მსოფლიოს ულამაზესი ქალაქია."

კემბრიჯი უკეთესია, ოქსფორდი – უფრო მიმზიდველი

Daily Telegraph-მა ტრადიციული გამოკითხვა ჩაატარა იმის გამოსარკვევად, თუ რომელია გაერთიანებული სამეფოს საუკეთესო უმაღლესი სასწავლებელი. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, უპირატესობა კემბრიჯის უნივერსიტეტს ერგო.

რაც შეეხება კემბრიჯის მუდმივ მეტოქეს, ოქსფორდის უნივერსიტეტს, ის ბრიტანული სასწავლებლების სამეულშიც კი ვერ მოხვდა. მეორე-მესამე ადგილები იორკისა და ლონდონის უნივერსიტეტებს ერგო. თუმცა, ასეთი მდგომარეობა არ ცვლის აბიტურიენტების ოქსფორდისადმი დამოკიდებულებას. შარშანდელთან შედარებით, წელს ოქსფორდში აბიტურიენტთა განაცხადის რაოდენობა თვრამეტი, ხოლო კემბრიჯში თხუთმეტი პროცენტით გაიზარდა.

რუბენსი დაბრუნდა

16 წლის წინათ მოპარული რუბენსის "მამაკაცის თავი" პოლიციამ დუბლინში, ვიღაცის ბინაში აღმოაჩინა და ირლანდიის ეროვნულ გალერეას დაუბრუნა. ამ ამბავმა დიდი სიხარული გამოიწვია – რუბენსის დაბრუნების იმედი ყველას გადაწურული ჰქონდა. დღეისათვის 1986 წელს ამ ტილოსთან ერთად გატაცებული ძველი ოსტატების თვრამეტი ნახატიდან ყველა ნაპოვნია, გარდა ფრანჩესკო გვარდის ორი პატარა ვენეციური პეიზაჟისა.

ომბუდსმენს შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს
ელ-ფოსტით:
nladaria@24hours.ge

ნოდარ ლადარია

ცოტა ხნის წინათ ერთმა ჩემმა მეგობარმა დამირეკა, რომელიც, თუმც იშვიათად ჩნდება ჩემს ჰორიზონტზე, ვიცი, ძალიან ვუყვარვარ და არასოდეს ადუნებს ჩემდამი ყურადღებას, გინდ პირდაპირი და გინდაც ირიბი საშუალებებით. სხვათა და სხვათა მრავალთა შორის ისიც მითხრა, ხანდახან შენი სინტაქსი მთლად ქართული ვერაა. ეჰ, ჩემო კეთილო მეგობარო, კვირის ბოლოს, შაბათ დღეს ერთ დაჯდომაზე მთელი ნახევარი ნაბეჭდი ფორმის დაწერა მიწევს და სინტაქსისთვის მცხელა?! როგორც *მეთქმეინება* ისე ვამბობ... ისე კი, ეგ მთლად ნაკლი არ უნდა იყოს და გარკვეულ პირობებში რაღაც განსაკუთრებულ ნიშნადაც შეიძლება შეფასდეს: ხომ გახსოვს, ენაბრგვილი იყო მოსე, დემოსთენე და, შენ წარმოიდგინე, როგორც თომას მანის "დოქტორ ფაუსტუსში" წერია, ადრიან ლევერკიუნის პირველი მასწავლებელი, კრეჩმარიც. განა ამათ ვუდარებ ჩემს თავს, უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ კაცები კაცებთან გააგზავნა განგებამ, მე კი...

მე კი ამ რამდენიმე დღის წინათ ორ მშვენიერ ქალს შორის ამოვყავი თავი, ოღონდ სულ რამდენიმე წუთით.

ლინჩის წესით

დიახ, მეც დამეტყო ის, რაც თბილისის ივანე (მიხეილი კი არა — ივანე) ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტობამ ვერა და ვერ დამატყო — ანუ საშუალო კლასს მიკუთვნებულობა და კინოში წასასვლელად შვიდი ლარი გავიმეტე. ფილმიც შესაბამისად ელიტური შევარჩიე, "მალჰოლანდ დრაივი". კინოთეატრ "ამირანიდან" გამოსვლისას შევეჩეხე ორ მშვენიერ... არა, მანდილები ნამდვილად არ ეხურათ... ორ მშვენიერ... ერთი სიტყვით, გასაგებია ვისაც. აქ ისაა მნიშვნელოვანი, რომ ერთ-ერთი მათგანი მეორეს ეუბნებოდა, ამ ფილმისა ვერაფერი გავიგეო. ორივემ ჩემსკენ მოიხედა და რადგან ორივე მიცნობდა, იმწამსვე ერთხმად მკითხეს, შენ კი გაიგე რამეო? როგორ არა-მეთქი, ყველაფერი, — ხმამაღლა დავიქადნე მე და, ფილმისა არ იყოს, ერთი გვარიანი მისტიფიკაციის გამართვა მოვიწადინე. სხვას აბა რას იფიქრებს კაცი ორი ლამაზი ქალის დანახვაზე! ჩემს შემდეგ კინოდარბაზიდან რამდენიმე საშუალოზე მაღალი (ტანადაც და ეკონომიურადაც) ქართველი ყმაწვილი კაცი გამოდიოდა. მათ ამ ხმამაღალ ქადილს ყური მოჰკრეს და ამბის გასაგებად ყველაზე უმცროსი გამოაგზავნეს. რამდენიმე წუთის განმავლობაში მორცხვად გვიახლოვდებოდა მათი მეგობარი, მერე კი ჩემი მზერა დაიჭირა და გვკითხა: მართლა რამე გაიგეთ ამ ფილმისაო? რა მექნა, აბა იმასაც ხომ არ მოვატყუებდი და ვუთხარი: არა, შენი ჭირიმე, ვერაფერიც ვერ გავიგეთ, ისე, ჩვენთვის ვლაპარაკობთ-მეთქი. ამის შემდეგ სამივენი კარგა ხანს ვიდექით შუა თბილისში და გიჟებივით ვხარხარებდით, რადგან შუა თბილისშიც კი ამგვარი რამ იშვიათად ხდება.

ასე სავალალოდ დასრულდა ჩემი ვერდაწყებული მისტიფიკაცია. ორ... ხომ ვთქვი უკვე, არ მანდილი არ ეხურათ-მეთქი!.. ჰოდა, ორთაგან ერთ-ერთმა სრულიად ბუნებრივად და მომხიბლავი ხმით განაცხადა: "ახლა კი იტყვით სნობიაო, მაგრამ ხომ მართლა მაგარია! ხომ ბოლო წუთამდე დაძაბულობაში გვამყოფა და გვალოდინა, რომ რაღაც მოხდებოდა". ჰოი, ცამდე მართალი იყო იგი იმწუთას! და ყოველივე ამის შემდეგ, პარასკევს, 9 აგვისტოს, სრულიად მოულოდნელად ამ ფილმისადმი მიძღვნილი სტატიის ავტორად მომევლინა გაზეთ "24 საათის" ფურცლებზე — *თეო ხატიაშვილი, გაწუხებთ ადრენალინი?..*

დიახაც მაწუხებს! მით უმეტეს, რომ დაწერილ ტექსტში სრულიად უკვალოდ გაქრა უკვე ნახსენები ბუნებრიობა და ხიბლი. ჯერ ერთი, ფილმს "მალჰოლანდ დრაივი" ჰქვია, და არა "მანჰოლანდ დრაივი". მეორეც, ტექსტი სავსეა ცუდად გამართული წინადადებებით, რომლებშიც შემასმენელი, თუმც ქართული სინტაქსის ყველა მოთხოვნის თანახმად ბოლოშია გადასროლილი, ისე იტანჯება სადღაც შორს, უსასრულოდ შორს დარჩენილი სანატრელი ქვემდებარის გამო, რომ მისი კვნესა-ვაება გულს გიკლავს და საზრისის გაგებას გიშლის. აქა-იქ ლექსიკური ნაგვის გროვებიც გვხვდება: "სპირიტუალური სეანსი" (არსებობს სპირიტისტული სეანსი, მაგრამ არ არსებობს სპირიტუალური — რას იზამ, პარალოგიზმების ტევრში გაგნება უფრო რთულია, ვიდრე კინემატოგრაფიული ავანგარდის გაკვნეტა), "ვნებიანი ლესბოსური ეროტიკა" (ფილმში ორ ქალს ნაკლები ენერგია დასჭირდა საერთო ენის გამოსანახავად, ვიდრე ჩვენ, ამ სიტყვების წარმოთქმაზე დაგვეხარჯა — ეჰ, რა ძნელია საქართველოში ყველაფერი!), "ნამდვილი სიურეალისტური ფანტაზმები" (no comment), "ბავშვობის დროინდელი სახლის ტყის პეიზაჟი" (no comment), "კრემატორიუმის შიშისმომგვრელი და უსუსური გარემო" (no comment).

სამაგიეროდ, ავტორმა ძველბერძნული მითოლოგიის უნიკალური ცოდნა გამოამჟღავნა: "წყეული პანდორას ყუთი (თანაც ძალზე სადა — სუპერმოდერნისტული დიზაინის, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ზღაპრულ წარმოდგენაში არსებულ დამანგრეველი ძალის ყუთთან)". ახლა სად იპოვი კიდევ ადამიანს, ასე ზუსტად რომ იცის, როგორ გამოიყურება და, შესაბამისად, როგორ არ გამოიყურება ნამდვილი პანდორას ყუთი.

საბოლოოდ კი ის უნდა დავასკვნა, რომ თუ შესაძლებელია, ვთქვათ, "უშავესი ინგლისური იუმორი", ისიც უნდა ითქვას, რომ დევიდ ლინჩის მრავალფეროვანი ფილმისაგან განსხვავებით სტატია არსებითად მონაცრისფროა.

რატომ არ დავასაბუთე ეს ჩემი დასკვნა სათანადოდ? რატომ დავსაჯე სტატიის ავტორი ლინჩის წესით? უნდა ვაღიარო, რომ გასაბრაზებლად ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი საბაბი მაქვს: სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ეს სტატია მნიშვნელოვნად უფრო დაბლა დგას მისი ავტორის რეალურ შესაძლებლობებზე. იმედია, ეს საბრძოლო ნათლობა მას ნამდვილად მოუმატებს ადრენალინს და სულ მცირე ხანში ჩვენ მის მიერ შექმნილი ახალი ტექსტები დაგვატკბობს. გარდა პირადი ნაცნობობისა, თეო ხატიაშვილს მე მისი ბრწყინვალე სატელევიზიო გამოსვლებით ვიცნობ, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ეგრეთ წოდებულ "ტუსოვკას" ეხებოდა.

აი, გაზეთში კი ტუსოვკის სპეციალისტობაზე სულ სხვა კანდიდატურები გამოჩნდა.

აუჭრელი ბანქოთი თამაშის მოყვარული

გამოჩენილი ქართველი კულტუროლოგის, დავით ანდრიაძის სტატია, *ტუსოვკისკენ, ჰერი, ჰერი!* (9 აგვისტო) ფრანგი ფილოსოფოსის, ლუი ალტიუსერის (Althusser — ნეტა როგორ უნდა გადმოვცეთ ქართულად, ალტჰუსერი თუ ალტიუსე?) ციტატით იწყება: "საკუთრივ, რა არის აუცილებელი ადამიანური საზოგადოებისათვის? ვაიძულოთ ადამიანები ... ერთმანეთს შეხვდნენ". როგორც ადრე მითქვამს დავით ანდრიაძის ტექსტების შესახებ და როგორც ამჯერადაც ველოდი, ციტატა რუსულიდანაა თარგმნილი (ნათლად იკითხება собственно და человеческое общество), მაგრამ ეს არაა ყველაზე საინტერესო და რადგანაც ჩვენს ავტორს ძალიან ყვარებია პერიფრაზები, ჩვენც შექსპირის ჰორაციოს დავესესხოთ: განა ამგვარი ჭეშმარიტებისათვის ალტიუსერის სული უნდა გამოგვეძახა? არსებობს ციტატების შერჩევის გარკვეული წესი და მე უკვე მართლა მაინტერესებს ჩვენი ავტორის დისერტაციაში (თუ დისერტაციებში?) ჩახედვა. ალბათ რაღაც ამის მსგავსს წაგაწყდები იქ: "ფლორენცია, როგორც შენიშნავს ი. ბურკჰარდტი, ტოსკანის მთავარი ქალაქია", ან კიდევ, "როგორც სამართლიანად ბრძანებს დიდი ილია, თამარი საქართველოს მეფე იყო". შეიძლება ალტიუსერი რაღაც განსაკუთრებულ საზრისს ანიჭებდეს შეხვედრის ცნებას, მაგრამ დავით ანდრიაძემ ეს ვერ გვაგრძნობინა — ის, როგორც ყოველთვის, უმისამართო "კბილკრეჭიაობას" (зубоскальство) გადაჰყვა. თვითონ კი შეხვედრას "ტუსოვკის" მნიშვნელობით იყენებს.

ასე და ამგვარად, დავით ანდრიაძის კრიტიკული პათოსი ტუსოვკის წინააღმდეგაა მიმართული, მთავარი საყვედური კი ისაა, რომ ადამიანები ერთმანეთის სანახავად და საკუთარი თავის გამოსაჩენად დადიან გამოფენებზე, და არა იქ გამოფენილი შედევრების სანახავად. სწორედ ამ მარტივი და თვით კულტურასავით ძველი აზრის გადმოსაცემად გვმოძღვრავს დავით ანდრიაძე, როგორც ბრძენი და გამჭრიახი შერლოკ ჰოლმსი ერთგულსა და მიამიტ უოტსონს (ტყუილად კი არ იყენებს ორჯერ ზმნიზედას "ელემენტარულად"). კი მაგრამ, ოდესმე სხვანაირად ყოფილა? ან რომელ უცხო პირებზე გველაპარაკება ავტორი, როცა ამბობს: "[ტუსოვკა] ხომ ის ადგილია, სადაც უცხო პირთა შესვლა არათუ აკრძალულია, არამედ, ელემენტარულად — აუცილებელი"? უცხო პირი, რა თქმა უნდა ისაა, ვისაც შუბლზე ინტელექტუალის ბეჭედი არ აჩნია და დავით ანდრიაძესავით ყოველ ნაბიჯზე ალტიუსერის ციტირება არ შეუძლია.

რა უბედურებაა! — თურმე დღევანდელი საზოგადოება შედევრზე ორიენტირებული არ ყოფილა. შედევრებით ხომ დახუნძლულია ჩვენი გამოფენების კედლები, მაგრამ ადამიანები ამას არ ამჩნევენ, ისინი ერთმანეთთან შეხვედრას ესწრაფვიან და ტუსოვკაზე საკუთარი მონაწილეობის "დაფიქსირებას". წლების განმავლობაში ნალოლიავები გემოვნება ოხრად გვრჩება, გონიერ ადამიანებს არავინ უსმენს, ვერავის მოხიბლავ საკუთარი განსწავლულობით, რადგანაც ის არავის სჭირდება. ადამიანები ექსპონატებს კი არა, ერთმანეთს ათვალიერებენ. ამგვარ თვალიერებას თვით სტატიის ავტორიც შეეცადა, მაგრამ თავისი ფრთოსანი ფანტაზია ვერ მოთოკა და დამსწრეთა შორის სრულიად არარსებული პერსონაჟიც იხილა — საგანგებო დავალებათა მინისტრი. იქნებ ეს ფანტაზიის ნაყოფი კი არაა, უბრალოდ, უკბილო ხუმრობის გასამართლებლად დასჭირდა, მაგრამ ჭეშმარიტება ისაა, რომ საქართველოს მთავრობაში არსებობს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის თანამდებობა, საგანგებო დავალებათა მინისტრი კი სრული ფიქციაა.

მდგომაროება მარტივია: ამნაირად აღწერილი ტუსოვკა მხოლოდ იმ ადამიანს შეიძლება არ მოეწონოს, რომელიც მკვეთრად გამოხატულ კულტურულ იერარქიას ესწრაფვის და ამ იერარქიაში მაღალი ადგილის დაკავება სწადია. აბა, განა საწყენი არაა, როცა ამდენი ადამიანი ერთმანეთის სანახავადაა მოსული, შენ კი ვერ გამჩნევს? განა სავალალო არაა, როცა ვერავის დაუღეჭავ და ვერ ასწავლი, რომ "არსებობს ოფიციალური კულტურა, არსებობს ბოჰემა, და არსებობს ანდერგრაუნდი... მათგან პირველი ორის პოეტიკა შედევრის იდეაზეა აღმოცენებული, ანდერგარუნდი კი ანტიშედევრის იდეას ემსახურება"? ტუსოვკა, ამბობს ავტორი, ეტიმოლოგიურად მომდინარეობს რუსული ზმნიდან тусовать, რაც ბანქოს დასტის აჭრას ნიშნავს. აჭრილი ბანქო კი ნამდვილად არ ეპიტნავება ავტორს: ვინ იცის, რა ქაღალდი ამოვა, ვაითუ "რასკლადი" არ დაემთხვას მის მიერ წინა საღამოს გადაკითხულ "ახალთახალ წიგნებს".

ჩემი მხრიდან, მე მხარს ვუჭერ იმ ადამიანებს, რომლებსაც ამეების მოსმენა არ სურთ და მზადა ვარ, თვალი დავხუჭო, რათა ამის კონკრეტული მიზეზები არ შევამჩნიო. თუ ადამიანები ერთმანეთთან ყოფნას ელტვიან და შეხვედრისათვის ფონად გამოფენა სჭირდებათ, ეს მხოლოდ მისასალმებელია, ყოველი გონიერი და განათლებული ადამიანისათვის ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ "სამკალი ფრიად არს". და თუ ოდესმე შეთვისებული ენა აღარავის ესმის, ახალი უნდა ვისწავლოთ, ხოლო თუ ახლის შეთვისების უნარი სადღაც სამუდამოდ დაკარგულ სიჭაბუკეში დარჩა, უნდა გვეყოს ღირსება და გავქრეთ თვალსაწიერიდან.

ძნელია? რა თქმა უნდა, ძნელია. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა არაფერი თვალშისაცემი არ დაგიტოვებია ამ თვალსაწიერზე. არა უშავს: როგორც ქვემოთ გამოჩნდება, ვინც რამე დატოვა, დიდი ვერაფერი მოიგო.

სოკოების წვიმა

7 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ქეთევან ჭარხალაშვილის სტატია *ხელოვნება თუ იდეოლოგია, ანუ ვინ ქმნის საქართველოში კულტურის პოლიტიკას*. სტატია მეტად მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, ამიტომაც ღირს მისი უფრო დაწვრილებით განხილვა.

დასაწყისში მოცემულია თეზისი, რომლის თანახმად "კულტურის არანაირი პოლიტიკა არ არსებობს". შემდეგ ეს თეზისი უარყოფილია იმის მაგალითზე, რომ საქართველოში პოლიტიკოსები კულტურას იყენებენ საკუთარი ინტერესებისათვის და აწყობენ მათ მხარდამჭერ გამოფენებს. აქ ორი შენიშვნა გვექნება: 1) პოლიტიკოსების მიერ კულტურის საშუალებით ელექტორატის შეძენა არაა "კულტურის პოლიტიკა"; 2) როცა მოგვყავს კონკრეტული მაგალითი, რომ ერთ-ერთი "მხარდამჭერი" დიდი ხნის გარდაცვლილი მხატვარი აღმოჩნდა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომელი პოლიტიკური პარტიის მიერ იყო მოწყობილი გამოფენა და ვინ იყო ეს მხატვარი.

საკმაოდ ბუნდოვანი ლოგიკური იტერაციების შემდეგ ავტორი გვიმტკიცებს, რომ კულტურის პოლიტიკის არარსებობა მხოლოდ ილუზიაა, ან ნიღაბი, რომლის ქვეშ მკაფიოდ გამოხატული კულტურული სტრატეგიები იმალება. საზოგადო სიდუხჭირისა და კულტურის ცხადად გამოხატული "უპატრონობის" ფონზე სახელმწიფო ფარულად ზრუნავს გარკვეული ტიპის კულტურულ მოვლენებსა და არტეფაქტებზე და ამ ზრუნვის შედეგს საზოგადოება მხოლოდ თავისათვის მოულოდნელად აწყდება.

მაგალითად მოყვანილია თბილისის სხვადასხვა კუთხეში მოულოდნელად, სოკოებივით აღმოცენებული ძეგლები.

დაწვრილებითაა განხილული ელენე ახვლედიანის ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქანდაკება, რომელიც ასევე მოულოდნელად ამოიზარდა ეროვნული გალერეის წინ. ნათქვამია, რომ ავტორის "განსჯის მიზეზი" სწორედ ეს ქანდაკებაა, მაგრამ მერე ავტორი გვეუბნება შემდეგს: "უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს უშუალოდ ამ ქანდაკებაზე საუბარი" — მას ყურადღება გადააქვს გარემოზე, რომლის წიაღში წარმოიქმნება მსგავსი არტეფაქტები. კეთილი და პატიოსანი.

ავტორი ასკვნის, რომ განხილული ნიმუშები არ ითვალისწინებენ ტრადიციას და არ ქმნიან ახალს, და სვამს კითხვას: რატომღა იძებნება სახსრები მათ შესაქმნელად? ამ კითხვაზე საპასუხოდ ისმის ხელოვნებათმცოდნის, ნანა ყიფიანის ხმა. ეს ადგილი მთლიანად უნდა მოვიყვანო, რადგანაც ერთობ საგულისხმოა: "მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა ან უკეთესის ან უარესის გამომხატველია. მე ზოგადად პროცესისადმი მაქვს ჩემი დამოკიდებულება. ბაგებიდან ორთაჭალამდე ძეგლების რაოდენობა დავთვალე, მათი რიცხვი ოცს აღწევს. ეს არის იმ პოლიტიკის გადმონაშთი, რომელიც სათავეს საბჭოთა კავშირიდან იღებს. საბჭოთა კავშირში მონუმენტური ქანდაკება იყო შესანიშნავი საშუალება იდეის პროპაგანდისა, ეს პოლიტიკა დღემდე არ შეცვლილა. იგი უგულებელყოფს ეროვნულ ტრადიციას და ამკვიდრებს საბჭოთა ესთეტიკას. ამით ზარალდებიან მოქანდაკეები, რომლებიც ჭეშმარიტად ქმნიან და ზარალდება საზოგადოება. არასწორია შეხედულება, თითქოს კულტურის პოლიტიკა არ არსებობს, პირიქით, იგი არსებობს და ცდილობს, ძალით შეინარჩუნოს ის, რაც საბჭოეთმა ჩვენამდე შემოინახა. ეს არის ერთ-ერთი საშუალება, საზოგადოება პროვინციალიზმის ჩიხში ჩატოვო".

ამ ტირადას მოსდევს საკმაოდ ზოგადი, დაუკონკრეტებელი მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება იყოს ქალაქში "სოკო-ქანდაკებების" დადგმის მექანიზმი და დასკვნა: "ხელოვანი, რომელსაც პოლიტიკა იყენებს, კონფორმისტია, გულუბრყვილო, თვითკმაყოფილი კონფორმისტი".

საქმე ისაა, რომ თვით სტატიის პათოსი თავისი ბუნებით სრულიად საბჭოთაა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს დასკვნიდან: რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ პოლიტიკაზე დამოკიდებული ხელოვანი აუცილებლად კონფორმისტია, რომ ეს კონფორმიზმი აუცილებლად უარყოფითად აღიბეჭდება მის შემოქმედებაზე. ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ საკუთარ სახელმწიფოს აპრიორი რეპრესიულად, ტირანულად და ყოველგვარი შემოქმედების მოწინააღმდეგედ აღიქვამ. შესაძლოა, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ეს ასეც იყოს, მაგრამ საკითხის განზოგადება ნამდვილად საბჭოური დისკურსის ფარგლებში ეტევა, სადაც ძალაუფლებასა და ინტელიგენტს შორის წინასწარდამკვიდრებული დაპირისპირება-სიმბიოზი სუფევდა. ხელოვანი კი არ უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკის წნეხისგან (მას, როგორც ყველა ცოცხალ ადამიანს, სჭირდება აღიარება და ფული), არამედ ესთეტური პრინციპები, რომელთა მიხედვით ფასდება ყოველი ნაწარმოები. წლების განმავლობაში ცხოვრობდა ლეონარდო და ვინჩი მილანის დუკას კარზე, მაგრამ თვით ეს ტირანი, ლუდოვიკო მორო, თუმც კი შეკვეთებს აძლევდა დიდ შემოქმედს, თვითონ უსიტყვოდ ემორჩილებოდა მისგან დამოუკიდებლად არსებულ ესთეტურ პრინციპებსა და გემოვნების წყობას. მაგრამ როდესაც ყოველი ნაწარმოები თვითონ ხელისუფლის უდღეური გემოვნების თარგზე გამოჭრილი ჩანს, მაშინ მართლაც ზარები უნდა ჩამოვკრათ.

მიუხედავად იმისა, რომ ვეთანხმები სტატიაში გამოხატულ გულისტკივილს თბილისში დადგმული ძეგლების ესთეტური ღირსების გამო, არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ავტორმა მსჯელობა საკმაოდ ზერელედ წარმართა.

ძალიან ხშირად გამოითქმის ის აზრი, რომ ესა თუ ის მოვლენა საბჭოეთის გადმონაშთია და ეროვნულ ტრადიციებს არ ითვალისწინებს. კი მაგრამ ეს ეროვნული ტრადიციები, ყოველ შემთხვევაში, მათი მნიშვნელოვანი და თვალშისაცემი ნაწილი განა იგივე საბჭოეთის მემკვიდრეობა არაა? ისევე, როგორც ფილმი "გიორგი სააკაძე", რომელსაც ეგზომ მოუხიბლავს რკინიგზელთა კლუბის დირექტორი, ჯემალ ლაზარიაშვილი (ანა ქეშელაშვილი, *მეზუნია ჩიტები საქართველოს შესახებ* — 8 აგვისტო), რომ ამ უკანასკნელს ეს ფილმი მიუჩნევია საუკეთესო მაგალითად იმისა, "თუ როგორ შეიძლება კინოსა და თეატრის მეშვეობით მაყურებელს და აუდიტორიას მაღალზნეობრივი იდეები მივაწოდოთ".

ვაი ჩვენს დღეს უბედურს! — წამოვიძახებ ქართულ ეროვნულ ტრადიციებთან სრულ შესაბამისობაში.

ჩვენს სტატიას რომ დავუბრუნდეთ, იქ მოყვანილი ხელოვნებათმცოდნე ჩიოდა, ჩვენში მონუმენტური ქანდაკება ეროვნულ ტრადიციებს უგულებელყოფსო. აბა გვითხრას ქალბატონმა ნანა ყიფიანმა, მონუმენტური ქანდაკების რომელ ეროვნულ ტრადიციებს გულისხმობდა. ნუთუ ქვის ვეებერთელა ფალოსებს? ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, თბილისში აღმართული ცხენების აშკარად ჰიპერტროფირებული გენიტალიები ამ ფალოსებიდან მომდინარეობს (და ესე იგი ეროვნულია), თუ მათი არქეტიპი ვე-დე-ენ-ხაზე დადგმული კამეჩის ქანდაკებაა (და ესე იგი საბჭოურია). განა ხელოვნებათმცოდნის იარლიყის მატარებელმა არ უნდა იცოდეს, რომ საბჭოთა კავშირში კი არა ყველგან, სადაც არ უნდა იყოს ეს, მონუმენტური ქანდაკება გარკვეული იდეოლოგიის გამომხატველია. განა იგივე არ შეიძლება ითქვას პარიზში დადგმულ "მარსელიეზაზე" ან თუნდაც რიო-დე-ჟანეიროს თავზე აღმართულ იესო ქრისტეზე? განა საქართველოში, თუ საქმე მონუმენტურ ქანდაკებას ეხება, საბჭოურისაგან განსხვავებული სხვა რამ ესთეტიკა შესაძლებელია? განა ფიროსმანს თუ დავაჩოქებთ და ხელში ცხვარს მივცემთ, ეს უკვე ნიშნავს, რომ ეროვნული ტრადიციები გავითვალისწინეთ? დროთა განმავლობაში იდეოლოგია დეკორაციად იქცევა, როგორც მოუვიდა, მაგალითად, ბერნინის ქანდაკებებს რომში. მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ ესთეტური პრინციპები აღმოჩნდა ღირებული და დროის მოთხოვნებთან ერთად არ ამოხდათ სული. ასე რომ, არაფერია საშიში იმაში, რომ ხელისუფალმა მოიწვიოს და შეკვეთა მისცეს ნიჭიერ შემოქმედს, მაგრამ როცა მოქანდაკე და ხელისუფალი იმიტომ ნახულობენ ერთმანეთს, რომ ორივე ერთმანეთზე უარესი უბირი და უნიჭოა, აი მაშინ ვღებულობთ ფილარმონიის გვერდზე დაკოსებულ უბადრუკობას, რომლის შესახებ გიჭირს თქმა, ეს მოძრაობის მარეგულირებელია, თუ კინტო.

რას იზამ, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ლოდინი, სანამ პროვინციალიზმის ჩიხში ჩატოვებული ხელოვნებათმცოდნეები მდგომარეობის მოგვარებას შეძლებენ, სანამ უგემოვნო და ტალახიდან ახლადამომძვრალი ხელისუფალნი მათ ყურს დაუგდებენ, სანამ... ეჰ, მანამდე კი ავალ და მრგვალ ბაღში დავისვენებ ცოტა ხანს. იმიტომ კი არა, ხელისუფლების აჩრდილს რომ დავუახლოვდე, — უბრალოდ, იქ პატარა უფლისწულია და ცოტა ხნით მაინც დამავიწყდება მონუმენტური ქანდაკებაც და მისი ეროვნულ ტრადიციებთან შესაბამისობა.

თავს უშველეთ, მეგობრებო!

მძლეოსნობა

30 წლიანი ლოდინის შემდეგ

გიგა გურასაშვილი

ბრიტანელი კოლინ ჯეკსონი მიუნხენის კონტინენტის პირველობას იმ იმედით ეწვია, რომ ალბიონელთაგან პირველს მოეგო ზედიზედ მეოთხე ევროპული ოქრო, მაგრამ თარჯრბენის დიდოსტატს წინა დღით თანამემამულემ, სტივ ბეკლიმ დაასწრო. მიუხედავად ამისა, ჯეკსონი ერთგვარი რეკორდების წიგნში მაინც მოხვდა. ახლახან დასრულებულ თანამეგობრობის თამაშებზე დაკავებული მეორე ადგილის მიუხედავად, ჯეკსონს "ოლიმპიაშტადიონზე" თავშეყრილ თანამემამულეთა იმედები აღარ გაუცრუებია. თუმცა, 110 მეტრზე თარჯრბენში ფეხმარდ უელსელს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა ფინიშის ხაზი პირველს გადაეკვეთა – 13,11. ფეხდაფეხ მდევარ, ლატვიელ სტანისლავ ოლიარსა და პოლონელ არტურ კოხუტეკისგან თავდასაღწევად, ბრიტანელმა ბოლო ხუთი მეტრი გამოიყენა.

"მას შემდეგ, რაც მეოთხედ მოვიპოვე ჩემპიონობა, მგონი, დროა, განზე გავდგე. დაე, ამერიკელები სხვებმა შეავიწროვონ. სპორტულ კარიერას მომავალ წელს ბირმინგემის ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატზე დავასრულებ. და მაინც, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ალბათ, ათენში, ახალგაზრდებში მოპოვებული პირველი მსოფლიო ჩემპიონობა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, 36 წლის გავხდი და დროა, გადავდგე,"- განაცხადა ჯეკსონმა.

მართლაც, ბრიტანელს 12-წლიანი კარიერის განმავლობაში, არაერთი ტიტული მოუპოვებია. გამარჯვებებს თან ახლდა მუხლზე ტრავმებიც, რის გამოც შვიდჯერ მოუწია ოპერაცია. აქედან, ოთხჯერ მარჯვენა მუხლზე გაუკეთეს, ხოლო მარცხენაზე - სამჯერ. 25 მედლით დამძიმებული ყულაბის მიუხედავად, საუკეთესო ფორმაში მყოფსაც მტკიცედ გადაუწყვეტია სარბენი ბილიკებიდან წასვლა.

ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა ჭოკით მხტომელთა შორის. 30-წლიანი ლოდინის შემდეგ, ისრაელი კონტინენტის ჩემპიონთა ელიტაში გაერია. 1999 წელს ჩემპიონობა რუსეთიდან ისტორიულ სამშობლოში ჩასულმა ალექს ავერბუხმა იზეიმა. თუმცა, ვიდრე სიხარულისგან ატირებული გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ჰიმნს მოისმენდა, ჩემპიონმა შტეფან ეფენბერგისეული ჟესტით გამოიჩინა თავი. რა მოყვა ეფენბერგის საქციელს, კარგად მოგეხსენებათ. ამრიგად, სავსებით შესაძლებელია, ყველაფერი 1994 წლის ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის სცენარით წარიმართოს. ჩვენ კი უნდა ვივარაუდოთ, რომ ავერბუხის ასეთი საქციელი მიმართული იყო არა გულშემატკივრების, არამედ იმ პალესტინელი ტერორისტებისადმი, რომლებმაც 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშებზე 11 ებრაელი იმსხვერპლეს.

"ჩემპიონობა იოლი არ იყო. რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანი ვარ, უნდა დამემტკიცებინა, რომ მაშინდელი წარმატება შემთხვევითი არ იყო. დასაწყისში მეგონა, რომ გადახტომას ვერ შევძლებდი, რადგან ტექნიკა სადღაც დამეკარგა. საბედნიეროდ, მალე ვიპოვე საკუთარი თავი. როდესაც კვარცხლბეკზე ვიდექი და 30 წლის წინათ შეწყვეტილი ისრაელის ჰიმნს ვისმენდი, მაშინდელ მოვლენებზე ვფიქრობდი. დღეს კი მომავალზე უნდა ვიფიქროთ. მედალს რვა თვის წინათ გარდაცვლილ მამას ვუძღვნი," – ამბობს ავერბუხი.

"მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლები და ძმა სპორტსმენები იყვნენ და არიან, მე ვარ პირველი, რომელმაც ოცნებას ფრთები შევასხი."

სხვათა შორის, 30 წლის წინანდელი ტრაგედიის აღსანიშნავად, ევროპის ჩემპიონატზე მყოფი ისრაელის 17-კაციანი დელეგაცია დღეს, სტადიონის გარეთ, მაშინდელი ტრაგედიის უკვდავსაყოფად შექმნილი მემორიალური მონუმენტის გახსნის ცერემონიალს დაესწრება.

ევროპის ჩემპიონატის ბოლოს წინა დღეს ბრიტანელებმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს. ქალთა შორის სამხტომში აშია ჰანსენმა მეტოქეებს სიურპრიზი შესთავაზა. ხუთი წრის შემდეგ, დაწინაურებული ფინელი ჰელი კოივულა უკვე ჩემპიონის გვირგვინს იზომებდა, რომ ჰანსენი ბოლო ნახტომით ამ უკანასკნელზე შორს – ზუსტად 15 მეტრზე გადახტა და ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონობას ახლანდელი "ღია ცისქვეშა" გამარჯვებაც დაურთო.

"ძალზე დაძაბულად წარიმართა ჩვენი პაექრობა. კოივულა პირველი მცდელობისას ისე გადახტა, რომ მეტოქეები წნეხის ქვეშ მოგვაქცია. მე კი ვიმედოვნებდი, რომ მისგან თავის დასაღწევად მხოლოდ 15 მეტრი მიშველიდა. კიდევ კარგი, ამისთვის შესაბამისად მოვემზადე,"- მომზადების დონით კმაყოფილია ჰანსენი.

ალექს ავერბუხი

REUTERS

მიუხედავად მეორე ადგილისა, ფინელი მაინც კმაყოფილი ჩანდა. მით უმეტეს, კოივულას ვერცხლი პირველი წარმატებაა ფინელ სამხტომელ ქალთა შორის.

"მედლის იმედი მართლაც მქონდა. ბოლო ნახტომამდე ვშიშობდი, რომ ჰანსენი მაინც თავისას გაიტანდა. ასეც მოხდა, მაგრამ არა უშავს. ფინელები ჩემით ისედაც იამაყებენ,"- თანამემამულეების ეიმედება კოივულას.

სიხარულის საბაბი ესპანელ ანტონიო ხიმენესსაც მიეცა. 3000 მეტრზე წინაღობებზე ასპარეზობისას, ტაქტიკურად გამართული ნელი სტრატეგია ამჯობინა ხიმენესმა, რამაც ესპანეთს კიდევ ერთი ოქრო მოუტანა (8.24,34). ფინიშის ხაზის სიახლოვეს, როდესაც გამარჯვებულის ვინაობის გასარკვევად რამდენიმე ნაბიჯიღა რჩებოდა, ხიმენესი მასთან დაწინაურებულ ჰოლანდიელ სიმონ ვროემენს წამოეპარა და გამარჯვებულის გვირგვინი, ნაცვლად ბენილუქსისა, პირენეის გზას გაუყენა. პრიზიორთა შორის სხვაობა წამის მეასედებმა გადაწყვიტა. ჩემპიონსა და მესამე ადგილზე გასულ თანამემამულე მარტინ ლუის მიგელს შორის სხვაობა 38 მეასედი წამია. ვერცხლისმედალოსანმა ჰოლანდიელმა კი მანძილი 8 წუთსა და 24,45 წამში გაირბინა.

ფეხბურთი

არველაძე უშუქობას მიჩვეულია

შოტლანდიის ჩემპიონატი ქართველი გულშემატკივრების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. თურქეთის ნაკრებთან 21 აგვისტოს გასამართი შეხვედრის წინ ყველას აინტერესებს, თუ როგორ ფორმაში არიან ქართველი ლეგიონერები. შოთა არველაძის "გლაზგო რეინჯერსმა" საკუთარ "აიბროქსზე" "დანდის" უმასპინძლა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მატჩი 48 წუთით გვიან დაიწყო. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სტადიონზე ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა. უშუქობა ყველაზე ნაკლებად რომ ქართველებს აშინებთ, ეს მოსაზრება გლაზგოშიც დადასტურდა. ქართველი ფეხბურთელი საუკეთესო იყო მოედანზე. მან მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა და ტაიმის შუაში გოლიც გაიტანა. თუმცა, მანამდე, მეცამეტე წუთზე, "დანდის" კარის აღება გამოცდილმა ჰოლანდიელმა, რონალდ დე ბურმა მოახერხა. მესამე გოლი მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე პეტერ ლოვერკრანდსმა გაიტანა. დანდელ ქართველთაგან შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე.

"რეინჯერსის" დაუძინებელმა მტერმაც იოლად გაიმარჯვა. "სელტიკმა" 4:0 გაანადგურა "აბერდინი". სტუმართა დამარცხება მელბიმ მეოთხე წუთზე დაიწყო. ცოტა ხანში გატანილი გოლების ანგარიში კრის სატონმაც გახსნა. მან ბულგარელი პეტროვის გადაცემა გამოიყენა.

52-ე წუთზე გოლი მუჰამედ სილამაც გაიტანა. ანგარიშს უკანასკნელი წერტილი პოლ ლამბერტმა დაუსვა.

დუდეკი ნაკრებში ვერ მოხვდა

21 აგვისტოს პოლონეთის ნაკრები ბელგიელთა წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ლეგენდარულმა პოლონელმა, ნაკრების მწვრთნელმა, ზბიგნევ ბონეკმა არ გამოიძახა ინგლისის "ლივერპულის" ძირითადი მეკარე იერჟი დუდეკი, რომელმაც ძალიან ცუდად ითამაშა იაპონია-კორეის მსოფლიო პირველობაზე და ნაკრების ხელმძღვანელობის უნდობლობა დაიმსახურა. თუმცა ბონეკი, რომელიც ენდობა რადოსლავ მაიდანს და ვოიცეხ კოვალევსკის, ამბობს, რომ დუდეკის პოზიცია ურყევია და მიუხედავად მსოფლიო ჩემპიონატზე ჩავარდნისა, "იგი საუკეთესოა მსოფლიოში".

კინი კვლავ ისვენებს

დიმიტრი ობოლაძე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეტოქე, ირლანდიის გუნდი 21 აგვისტოს ამხანაგურ მატჩს გამართავს ფინეთის ნაკრებთან. მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ შემადგენლობა დაასახელა. სიაში ახალი გვარიც გამოჩნდა. ეროვნულ გუნდში თავის სადებიუტო შეხვედრას ჩაატარებს ინგლისის "ტოტენჰემ-ჰოტსპურის" მცველი, სტეფან კარი, რომელმაც ტრავმის გამო მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვა. იგი მოედანს ერთწლიანი პაუზის შემდეგ უბრუნდება. არ გამართლდა ირლანდიელ გულშემატკივართა მოლოდინი. მაკარტიმ განაცხადში არ შეიყვანა როი კინი. კონფლიქტის გაჭიანურებას სწორედ "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველს აბრალებენ. კინი კატეგორიულად მოითხოვს პირველი გუნდიდან მაკარტის წასვლას. 21-ში ირლანდიელებს კიდევ სამი ფეხბურთელი - მეკარე ალან კელი, სტივ სტენტონი და ნეილ ქუინი დააკლდებათ. სამივე ფეხბურთელმა უარი განაცხადა ნაკრებში თამაშზე. ბომბარდირმა დევიდ კონოლმა ტრავმა მიიღო. მაკარტიმ განაცხადა, რომ შანსს მისცემს "ჰიბერნიანის" მეკარეს, ნიკ კოლგანს და "სელტიკის" ნახევარმცველს, კოლინ ჰელის. აღსანიშნავია, რომ მთლიანი შემადგენლობიდან მხოლოდ ეს ორი ფეხბურთელი არ თამაშობს ინგლისურ კლუბებში. ნაკრების შემადგელობაში არიან კინსელა, დაფი, დოჰერტი, კილბეინი, ფინანი და სხვა წამყვანი ფეხბურთელები. ირლანდიური პრესა ვარაუდობს, რომ ნაკრების ძირითადი ბირთვი სექტემბერშიც არ შეიცვლება.

გადამწყვეტი ბრძოლის წინ

მიხეილ აბაიშვილი



ნეტავ, ჩივაძის დაჭერა თუ შეიძლება?

დღეს, 14 საათზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართება პრესკონფერენცია, რომელიც ყველა კითხვას გასცემს პასუხს. სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ფიფა-ს პრეზიდენტთან, იოზეფ ბლატერთან 9 აგვისტოს შეხვედრის დეტალებს ამ პრესკონფერენციაზე გამოამზეურებს. რაც მთავარია, გაირკვევა, გაითვალისწინებს თუ არა ფეხბურთის ფედერაცია დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს გადაწყვეტილებას, სფფ-ს აღმასკომის მიერ დადგენილი მანდატების განაწილების წესის შეცვლის თაობაზე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბლატერმა ჟორდანიას მოსთხოვა ყრილობის სფფ-ს წესდებისა და აღმასკომის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ჩატარება. თუ ეს ინფორმაცია დღეს დადასტურდება, საინტერესოა, რას მოიმოქმედებს სასამართლო ხელისუფლება. მოგეხსენებათ, საქართველოს კანონმდებლობით, სასამართლოს გადაწყვეტილების აღუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრება. მეორე უკიდურესობაც: ფიფა-ს დირექტივის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ამ ორგანიზაციიდან გარიცხვა ელის. საინტერესოა, რამდენად პრინციპულად დაიცავს სასამართლო თავისი გადაწყვეტილების უზენაესობას? ან როგორ აპირებს სასამართლო სისხლის სამართლის პასუხისგებაში ალექსანდრე ჩივაძის, მურთაზ ხურცილავას, რეზო არველაძის, ვლადიმერ ელოშვილის, სერგო კოტრიკაძის, კახი ასათიანის და სხვათა მიცემას, იმის გამო, რომ მათ საქართველოში ფეხბურთის ბედისა და მომავლის გადამწყვეტ ყრილობაში უნდა მიიღონ მონაწილეობა? თენგიზ ჩანტლაძის იუმორისტულ გმირსაც კი ესმოდა, რომ სარაჯიშვილის გვარის კაცის დაჭერა, ოპერის წინ სიმღერისთვის, არ შეიძლებოდა. ნეტავ, ჩივაძის დაჭერა თუ შეიძლება?

ალბანელთა ახალი მწვრთნელი

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ალბანეთის ნაკრებია. ამ ქვეყნის გუნდში, უკანასკნელ პერიოდში, დიდი ცვლილებები მოხდა, რაც ახალი მთავარი მწვრთნელის, იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ჯუზეპე დოსენას პოლიტიკის "ბრალია". ალბანეთის ნაკრები ნამდვილად არ ითვლება ჯგუფის ფავორიტად. დოსენას გუნდის დამარცხება, წესით და რიგით, არც საქართველოს ნაკრებს უნდა გაუჭირდეს (თუ ჯგუფიდან გასვლა სურს). დოსენამ, ფეხბურთელთა მწირი არჩევანის გამო, შემადგენლობის გადახალისება ვერ შეძლო, თუმცა შეცვალა სათამაშო სქემა. თუკი ადრე ალბანელები უწესრიგოდ, დიდი ძალებით შეტევას ცდილობდნენ, დოსენა დაცვით ტაქტიკას ირჩევს. "ჩემი გუნდის კარში გოლის გატანა ძალიან ძნელი იქნება, - განაცხადა იტალიელმა, - წარმატების მისაღწევად კი გოლის გატანის ყველა შანსის გამოყენებას უნდა ვეცადოთ." დოსენა მსოფლიო ჩემპიონატზე პარაგვაის ნაკრების მწვრთნელის, ჩეზარე მალდინის თანაშემწე იყო. ის ალბანეთის ნაკრების ისტორიაში მესამე უცხოელი მწვრთნელია. დოსენამ, ალბანეთის ნაკრების ხელმძღვანელის პოსტისათვის ბრძოლაში, გერმანელ ჰანს-პეტერ ბრიგელსა და თანამემამულე სერჟიო ბრიოს მოუგო.

TV პროგრამა 12 აგვისტო

რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯუნგლეების წიგნი
08.00 კურიერი. ჩვენი ეზო
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 ველური გუნება
10.40 გრენდაიზერი
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 გრენდაიზერი
18.45 სერიალი "ელენი და გიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 "კომუნიკატორი"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "ანანამელი მკერავი"

პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამგე
08.10 "წყვილები და დუეტები"
08.35 სერიალი "მარკო პოლო"
09.20 მულტფილმი "საგრალონი"
10.10 სერიალი "ქილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური გუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
12.55 მხ. ფილმი "სასიკვდილო თამაშები"
14.25 "ჩემი გოგლა"
15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში.
17.15 50-50 18.00 "ვესტიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 დოკ. ფილმი
19.40 ბასტი-გუბუ
21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.45 "ერის ისტორიული მეხსიერების დაგრუნება"
22.20 მხ. ფილმი "წუთისოფელი"
23.35 სერიალი "ქილის წინ"
00.10 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.30 სერიალი "მარკო პოლო"

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამგე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "მისი წესების მიხედვით"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "ზამთრის დასასრული"

ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15, 18.30 მულტფილმი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.30 მხ. ფილმი "ლედი ჰამილტონის საყვარელი"
14.30 დოკ. ფილმი "თანამედროვე ევროპა"
19.30 ელექტროენერგიისა
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები.
22.30 მხ. ფილმი "სიყვარულის გამოცდა"

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 ალსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ჭორი"
10.20 მხ.ფ. "ბანაკების მძარცველი"
15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 გუნების ფერები
19.30 გურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "ვირჯინიელი"
22.15 მხ.ფ. "ამოუცნობი მკვლელობა მანჰეტენში"
00.30 ღამის ფილმი

პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტორელა"
11.30 ინფორმატორი
12.00 "მო" განმეორებით
13.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით
13.45 "სენტრი" განმეორებით
14.45 მხ.ფილმი
17.00 "სნ.მედია" მხ.ფ. "პარასკევი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 უცნობი
23.00 მუსიკა
00.00 "ბარავო" "შავი კატა, თეთრი ხვადი".
01.40 "ლამური" მხ.ფ. "სინისლი რძით"
03.10 ნონ-სტოპი

კავკასია

12.00 მხ.ფ. "პოლკოვნიკი რიდლი"
14.35 მხ.ფ. "როგინ ჰუდი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მულტფილმი "კოსიოსური კალათბურთი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ.ფ. "ზაზუნას დღე"
22.30 მხ.ფ. "დრაკონის კოცნა"

მეცხრე არხი

09.10 სად? რა? როდის?
10.00, 15.00 "დილა"
11.45 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი პირონსის დაცვის სამსახური"
12.35 მხ. ფილმი "დანა წყალში"
14.05, 16.45, 19.00 დისკავერი
14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
17.15, 18.45, 23.50, 00.20 მუსიკა
17.45 მულტფილმი
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 25-ე სერია
20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი პირონსის დაცვის სამსახური"
22.00 მხ.ფ. "ეშმაკით შეპყრობილი".
00.40 მხ.ფ. "ქეთილისმყოფელი"

აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 Новости в воскресенье
09.50 "სათქმელი"
10.10 მხ.ფ "მარადიული სიყვარულის ისტორია"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 მხ.ფილმი "მკურნალი ადამი"
14.05 მხატვრული ფილმი "დაქირავებული"
16.15 მულტფილმი "პერკულესი"
17.45 კომედია "მატყუარა, მატყუარა"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 მისტიკური თრილერი "სიკვდილის მაგია"
20.55 ქართული მხატვრული ფილმი
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.00 მხატვრული ფილმი "აფიორა"
03.30 თრილერი "სუდი კომპანია"
05.15 დოკუმენტური ფილმი

VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 "პერიფერია"
09.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.30 "აჩიკუდა"
09.55 მოკლედ... სპორტი
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.40 მუსიკალური ტაიმაუტი
11.10 მულტსერიალი
11.25 "სახლიდან გაუსვლელად"
11.55 მუსიკალური ოგიეტბივი - სტუმარი
12.50 დოკ.ფ. "გრძოლა წესების გარეშე"
13.15 დისნეი და მისი მეგობრები
13.35 "სახლიდან გაუსვლელად"
14.15 სპორტი
14.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.35 მუსიკალური ტაიმაუტი
21.10 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი
21.15 დოკ.ფ. "გრძოლა წესების გარეშე"
21.35 მოკლედ... სპორტი
21.40 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
21.50 "სახლიდან გაუსვლელად"
22.20 "კინოკლუბი " - "ეის ვენტურა"-1 სერია
23.50 პრესის მიმოხილვა
00.05 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.15 მუსიკალური ბიორიითმი
01.40 მხ.ფ. "ეის ვენტურა" - მე-2 სერია.
03.05 პრესის მიმოხილვა

1 OPT

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 "Знатоки" "ДИНОЗАВР". Дело №5. 2-я серия
12.10 Царь горы
12.35 Дисней-клуб: "Любимчик"
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 Поле чудес
15.15 "Правда о "Курске"
16.15 х.ф. "ОТЧАЯНЫЙ ПАПА"
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
19.20 "Кто хочет стать миллионером?"
20.20 "Ералаш"
20.35 х.ф. "СПЯЩИЙ ЛЕВ"
22.00 Время
22.35 "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ"
23.40 Сериал "АБСОЛЮТНЫЕ УБИЙЦЫ"
00.35 "УБОЙНАЯ СЛУЖБА"
01.00 Ночное "Время"
01.15 х.ф. "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"
02.00 х.ф. "ЧЕЛОВЕК НИОТКУДА"

РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 14.20 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР
08.25, 09.15, 15.20 Вести-спорт
09.15 "Хронограф"
09.30 Вести. дежурная часть
10.10 х.ф."ПОЙМАЙ ВОРА"
12.20 Сказки о любви
13.20 "Что хочет женщина"
14.30 Сериал "ГРОСС ПОИНТ"
15.25 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. СМЕРТЬ В ОБЛАКАХ"
17.30 "ДРУЗЯ - 5"
18.20 "ЖАРА В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ"
19.50 х.ф."ВОРОВКА
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.35, 00.20 Местное время. Вести-Москва
21.55 х.ф."КАМЕНСКАЯ" Фильм первый "ШЕСТЕРКИ УМИРАЮТ ПЕРВИМЫ" 1-я часть
23.00 х.ф." МАРШ ТУРЕЦКОГО-2"
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф. "АМЕРИКАНСКИЕ ДРАКОНЫ"
02.10 Лучшие матчи чемпионата мира по футболу 2002 г. Сборная Сенегала - сборная Швеции. 1/8 финал.

НТВ

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня.
07.05 Утро на НТВ.
07.35, 08.35, 16.40, 19.40 Криминал.
08.20 Дальние страны.
09.50 Сериал "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА". "АЙ ЛАВ Ю".
11.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "ТРЕТИЙ СЛЕВА".
12.30 "Разбитый треугольник". "Очная ставка".
13.25 Матадор Лидия Артамонова. "Женский взгляд" Оксаны Пушкиной.
13.45 Приключенческий фильм "МУШКЕТЕРЫ, ДВАДЦАТЬ ЛЕТ СПУСТЯ". Фильм 1-й.
15.05 "Почему мы врем?" Ток-шоу "Принцип домино".
17.30 Детективный сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ".
18.35 Многосерийный детектив "ПЕЙЗАЖ С УБИЙСТВОМ".
20.35 Памяти "Курска".
21.00 Петр Вельяминов, Донатас Банионис и Константин Райкин в фильме "КОМАНДИР СЧАСТЛИВОЙ "ЩУКИ".
23.35 Детективный сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ".
00.45 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "ТРЕТИЙ СЛЕВА".
02.00 Триллер "КОНТРОЛЬ НАД ЛИЧНОСТЬЮ".

TV პროგრამები მოგვაწოდა საგანმო "ინფორმავრმა"

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.